საერთო საქმე

№24-25 (846-847)
ოთხშაბათი
1 ივლისი,
2026 წ.
ფასი 2 ლ.

„დიდი გიჟეული“, ანუ ვინ არის მსოფლიო ბოსი?

ჯანყი „ნაცმოძრაობაში“

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 15 ივლისს

ჩვენი გაზეთის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტში:

WWW.SAERTOGAZETI.COM

საქართველო უნდა ისწრაფოდეს ევროკავშირისკენ, იმ ღირებულებებისკენ, რაც შეგვიძლია, ევროპის დეფინიციას მივაბათ, რაც არის ქრისტიანული მორალი, განმანათლებლების ფილოსოფია, ადამიანის უფლებები და, რა თქმა უნდა, ამას უნდა აკეთებდეს ქართული ადათ-წესების, ტრადიციების და ღირსების შენარჩუნებით და არა მის ხარჯზე

პირადად მე არ გამოვიყენებ სიტყვა აგენტს. პოლიტიკოსები მართლაც იყენებენ ამ ტერმინს. მე არ ვაპირებ ამ ტერმინის გამოყენებას. თვითონ საკითხი რომ ოდნავ ჩავშალოთ, ზოგადად, რეპრეზენტაციული დემოკრატიის არსი, დედააზრი არის ის, რომ როდესაც მოქალაქე მიდის და აძლევს ხმას გარკვეულ პოლიტიკურ გუნდს, ის მასთან დებს, ასე ვთქვათ, ხელშეკრულებას, უცხადებს ნდობას იმისთვის, რომ მან მისი ინტერესები წარმოადგინოს. ცოტა სხვანაირი ფორმულირებაც რომ მივცეთ, რაღაც მომენტში შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მოსახლეობა, მოქალაქე ქირაობს გარკვეულ პოლიტიკურ გუნდს, რათა მან მისი ინტერესი წარმოადგინოს, მოემსახუროს მას. რა თქმა უნდა, ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც უნდა მართავდეს ქვეყანას, აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს, პირველ რიგში, მის მოსახლეობას. ქირაობის ტერმინს რომ დავუბრუნდეთ, თუ ვამბობთ, რომ მოსახლეობა არის ის, ვინც ქირაობს პოლიტიკურ ძალას იმისთვის, რომ მას მოემსახუროს, სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც არიან პოლიტიკური ძალები, კონკრეტიკაში შესვლას არ ვაპირებ, ვინც სხვის მიერ არის ნაქირავები. შესაბამისად, შეუძლებელია, რომ ის პოლიტიკური ძალა იქირაოს ქვეყნის მოქალაქემ, რადგან ის პოლიტიკური ძალა უკვე სხვას ემსახურება. შეიძლება, ამ ტერმინის გამოყენება ამ იდეას მივაბათ, რომ შეუძლებელია, საზოგადოებამ იქირაოს ის, ვინც უკვე ნაქირავებია.

●

არასდროს მისაუბრია იმასთან დაკავშირებით, თუ ვთქვათ, რა მიმართულებით ვსწავლობ აკადემიურად იქნება ეს, თუ რას ვაკეთებ, თუმცა საკმაოდ ბევრი წელია, ჩრდილში ვარ, არ ვასაჯაროებ ნამუშევრებს, მაგრამ ვხატავ ძალიან ბევრს, აკადემიური მიმართულებით ფილოსოფიას და ხელოვნების ისტორიას ვიკვლევ. ეს არის ორი სფერო, რომელიც მე პირადად ძალიან მაინტერესებს. ამის იქით თავისთავად ვგულშემატკივრობ მსგავსი ტიპის ინიციატივებს ჩვენი ახალგაზრდებისგან, ახალგაზრდული ორგანიზაციებისგან. ამიტომ თავისთავად უბრალოდ, სტუმრის სტატუსით ვესწრები ამ შეხვედრებს,

მაგრამ პოლიტიკაში ჩართვის არანაირი ინტერესი არ მაქვს. რა მიმართულებითაც გითხარით, ვცდილობ, მაქსიმალურად ბევრი ვიშრომო, თუმცა არ ვასაჯაროებ არაფერს ამ ეტაპზე, იმიტომ, რომ ეს იქნება ტექნიკურად თუ კონცეპტუალურად, მინდა უკეთ განვავითარო.

●

საქართველო უნდა ისწრაფოდეს ევროკავშირისკენ, იმ ღირებულებებისკენ, რაც შეგვიძლია, ევროპის დეფინიციას მივაბათ, რაც არის ქრისტიანული მორალი, განმანათლებლების ფილოსოფია, ადამიანის უფლებები და, რა თქმა უნდა, ამას უნდა აკეთებდეს ქართული ადათ-წესების, ტრადიციების და ღირსების შენარჩუნებით და არა მის ხარჯზე.

●

კადრები თუ ნახეთ, ნახავდით, რომ საკმაოდ მძიმე შეურაცხყოფები იყო მიყენებული, სიტყვების გარჩევას ხომ არ დავიწყებთ?! კადრებშიც გამოჩნდა არაერთი შეურაცხყოფა და ნათლად გამოჩნდა, რომ ვერბალური იყო. როგორც უკვე ვთქვი, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ძალიან ცუდი საყურებელი იყო ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხარო იყო და ძალიან ცუდია ეს ყველაფერი საქართველოსთვის.

სხვათა შორის, თუ გადახედავთ, ძალიან ბევრ წამყვან ევროპულ ქვეყანაშიც, იაპონიაშიც, კორეაშიც, ა.შ. - საკმაოდ ხშირია ასეთი სახის კონფლიქტები, რაც აგრეთვე ძალიან ცუდია, რა თქმა უნდა.

ცოტა სასაცილოა გამოძიებასთან დაკავშირებით ამდენად ყურადღების გამახვილება, იმ ფონზე, რომ, როგორც გითხარით, სამწუხაროდ, ასეთი რაღაცები ძალიან ხშირია.

●

არსებობს ფილოსოფიურ ლოგიკაში ე. წ. ჩალის კაცის არგუმენტი, როდესაც მოსაუბრის თეზისს ამახინჯებ, იმისთვის, რომ დამახინჯებულ თეზისს შეუტიო. მე როდის ვთქვი, რომ ჩვეულებრივი ამბავია? მე ვთქვი ის, რომ ეს ყველაფერი არის ძალიან ცუდი, ძალიან სამწუხარო და ცუდი დასანახი.

●

ყოველთვის ვიყავი მეტი დიალოგის მომხრე და აქედან გამომდინარე, ძალიან ვგულშემატკივრობ ამ ფორმატს.

„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის შემაჯამებელი კონფერენცია დასკვნითი ღონისძიება იყო, მაგრამ ვესაუბრე ბორდის წარმომადგენლებს და არ ვიცი ზუსტად როგორი ფორმატით, მაგრამ აპირებენ, რომ ზოგადად დიალოგი განაგრძონ ახალგაზრდებთან. მე პირადად ძალიან მიხარია ეს ყველაფერი. ძალიან დიდი ნაკლებობა არსებობდა კომუნიკაციის, დიალოგის, განსხვავებულ აზრთა გაცვლის საქართველოში და ნელ-ნელა ამ მიმართულებით რომ მიდის მუშაობა და გარკვეული პროგრესიც უკვე არის ამ შეხვედრების ხარჯზე, ძალიან მიხარია. დიდი იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში კარგად მოახერხებენ იმას, რომ ეს ფორმატი განაგრძონ, გააუმჯობესონ და კიდევ ბევრი სხვა მიმართულებითაც თუ წამოვა ინიციატივები, რომ მეტი დიალოგი დაინერგოს, ძალიან კარგი იქნება.

●

პარლამენტში მომხდარი დაპირისპირება ძალიან ცუდია, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის. გული დამწყდა, ძალიან არასასიამოვნო იყო და სხვა შეკითხვას მიჩენს, თუ რა მიზანი ჰქონდა ოპოზიციური პარტიის წევრებისგან ამ პროვოკაციას.

ჩვენს ძვირფას თანამშრომელს, გულისხმიერ, მოსიყვარულე, უანგარო, ყურადღებიან და უტკბილეს ქალბატონს

ბელა გველესიანს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ, ჯანის სიმრთელეს, სიკეთეს, ულევ სიხარულსა და საყვარელ ოჯახთან — შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ბედნიერებით სავსე ტკბილ ცხოვრებას.

იხარე და იდღეგრძელე მრავალჟამიერ, ჩვენო ბელა!

„საერთო გაზეთი“

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს და ავტორს, ნიჭიერ მეცნიერსა და პუბლიცისტს, შესანიშნავ ადამიანს

დავით (დათა) მაისურაძეს

დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს და მრავალ წარმატებას მის საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმიანობაში. ასევე, ულევ ბედნიერ წელს თავის არაჩვეულებრივ მეუღლე ქეთევანთან, დედასთან და მრავალრიცხოვან საახლობლოსთან ერთად.

მრავალჟამიერ!

„საერთო გაზეთი“

ირაკლი კობახიძე: ახალგაზრდობა არის ჩვენი ქვეყნის მომავალი

„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის შემაჯამებელი კონფერენციისა და რეგიონებში შეხვედრების დატვირთვა ჩვენთვის იყო განსაკუთრებული, გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდობა არის ჩვენი ქვეყნის მომავალი. მათ უნდა გადაიბარონ ამ ქვეყნის მართვა. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლებასა და ახალგაზრდებს შორის, მმართველ პარტიასა და ახალგაზრდებს შორის მჭიდრო ურთიერთობა, დიალოგი, მათ შორის, მათი მხრიდან პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება, საკითხების წამოჭრა, ამ ყველაფრის გაზიარება.

ზუსტად ამას ეთმობოდა ის შეხვედრები, რომლებიც გაიმართა მთელი ქვეყნის მასშტაბით. შეხვედრები ძალიან საინტერესოდ წარიმართა, უამრავი საკითხი დაისვა ახალგაზრდების მხრიდან და მთავარია, რომ ეს გაგრძელდეს. მთავარია ამ პროცესის გაგრძელება, ძალიან მჭიდრო კომუნიკაცია, ურთიერთობა ახალგაზრდებთან, იმისათვის, რომ მეტი მოვისმინოთ მათგან და მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათ მიერ წამოჭრილი საკითხები.

არავითარი ფუნქციონალური როლი ამ ალიანსს არ აქვს

„ნაციონალური მოძრაობისა“ და ოპოზიციური ალიანსის მომავალზე „საერთო გაზეთს“ ესაუბრება ანალიტიკოსი მირიან მირიანაშვილი

- ბატონო მირიან დატოვებს თუ არა ოპოზიციურ ალიანსს „ნაციონალური მოძრაობა“?

- ალიანსი სინამდვილეში შეიქმნა საინფორმაციო მოცემულობისთვის. ასეთი ტიპის ორგანიზაციები საქართველოში იქმნება მხოლოდ საგარეო პოლიტიკური პროცესების ან საშინაო თემების გადაფარვის მიზნით. არავითარი ფუნქციონალური როლი, მომიტევეთ, მაგრამ მაგ ალიანსს არ უთამაშია. სავარაუდოდ, რაკი თემა „დაიქოქა“, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ამბავი შედგება. ასევე, ეს ხდება იმისთვის, რომ ის საინფორმაციო მოცემულობები გადაიფაროს, რომელიც ახლაც აქტუალურია და ხვალაც აქტუალური იქნება. ეს თემა შეიქმნა იმისთვის, რომ ერთი თვე მასზე აქტიურად ვილაპარაკოთ. რეალური მნიშვნელობა არც ოპოზიციური ალიანსის შექმნას და არც მის დატოვებას არ ექნება.

- რა პერსპექტივები აქვს ალიანსს „ნაციონალური მოძრაობის“ გარეშე?

- არც ისე ჰქონდა და არც დატოვების შემდეგ ექნება.

- რა პერსპექტივები ექნება „ნაციონალურ მოძრაობას“ ალიანსის გარეშე?

- ქართული პოლიტიკური სივრცე მოწყობილი ისეა, რომ ერთგვარად, პოსტსაბჭოთა სივრცის დამოუკიდებლობის სპეციფიკური ნიშნებიც ბევრი აქვს და აღმოსავლეთ ევროპის ოპოზიციურ გაერთიანებებს და სუბიექტების კონფიგურაციასაც წააგავს; თუმცა რაღაც ასპექტებში, ექსკლუზიურიც, ენდემურიც და იმპორტულიც ბევრია. თუ მსგავსება-ექსკლუზიურობის შკალაზე შევაფასებთ, შეგვიძლია ერთი კანონზომიერება გამოვკვეთოთ: პოსტსაბჭოთა სივრცის ოპოზიციურ პარტიებში და აღმოსავლეთ ევროპის ოპოზიციური პარტიები მხოლოდ იმ შემთხვევაში ცოცხლობს, თუ გადაწყვეტილების მიმღები ამერიკული პოლიტიკური სუბიექტები მასთან კომუნიცირებენ და საერთო პროექტებს ახორციელებენ. ნებისმიერი სხვა ტიპის ოპოზიციური სუბიექტი ან გაერთიანება, რომელსაც ამერიკის პოლიტიკური ელიტა სერიოზულად არ მიიჩნევს, ვერ არსებობს ან თუ არსებობს და, სინამდვილეში, არანაირ პოლიტიკურ როლს არ ასრულებს. და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამერიკული პოლიტიკური ცენტრი დღეს და ბოლო ერთი წელიწადია, საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეში მთლიანად რუბიოს მოცემულობით ოპერირებს, რადგან ამერიკის პოლიტიკურ ისთებლიშმენტში პოსტსაბჭოთა სივრცეში გადაწყვეტილების მიმღები რუბიო და მისი გარემოცვაა. თუ თქვენ რუბიოსთან საქმიანი ურთიერთობა არა გაქვთ, არავითარი ანგარიშის გაწევა არც ქვეყნის შიგნით არც გარეთ აღარ არის. თუ თქვენ რუბიო მიგიჩნევთ სუბიექტად, სხვა წონით კატეგორიაში მიგიჩნევენ როგორც რუსები, ისე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპელები; ევროგაერთიანების სტრუქტურული ელემენტები, თურქები და რეგიონული მოთამაშეები: ალიევი, ფაშინიანი და ა. შ. ასევე, კავკასიის განზომილებებში რუსების სუბიექტები, დაღესტნელები, კადიროვი და სხვ. და თუ ეს არ არის, შედეგიც ნული დგება ხოლმე.

ნაზი ბერიძე

დასრულდება თუ არა ახლო მომავალში რუსეთ-უკრაინის ომი

„საერთო გაზეთს“ ესაუბრება სამხედრო ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარ რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი

- ბატონო ირაკლი, მარკო რუბიოს განცხადებით, ალასკაზე დონალდ ტრამპსა და ვლადიმირ პუტინს შორის უკრაინასთან დაკავშირებით შეთანხმება არ შემდგარა. თუ შეთანხმება არ ყოფილა, რა პერსპექტივებია ამ ომის დასრულებასთან დაკავშირებით?

- გასულ წელს, როდესაც ალასკაზე, ანკორიჯში ტრამპი და პუტინი შეხვდნენ, დახურულ კარს მიღმა მათ გარკვეული დროის განმავლობაში ისაუბრეს, თუმცა რაიმე რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებასთან დაკავშირებით ოფიციალური ხელშეკრულება მაშინ გაფორმებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, კრემლმა არაერთხელ წამოაძახა ტრამპს, რომ ის ალასკაზე მიღებულ ორმხრივ შეთანხმებას არ ასრულებდა. და ბოლოს, რუბიომაც თქვა, რომ ასეთი შეთანხმება არ ყოფილა. მაგრამ ფაქტია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმაც ახლა განაცხადა (მანამდე ჩვენც დაგვიწერია და სხვებიც ამბობდნენ), ალასკაზე პუტინს შეიძლება ტრამპი შეჰპირდა თავის სტილში, რომ ის უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკიზე მოახდენდა პოლიტიკურ ზეწოლას - უბრძოლველად დაეთმო პუტინისთვის დონეცკის ოლქის ეს ორი არაოკუპირებული ქალაქი - კრამატორსკი და სლავიანსკი და ამით პუტინს საბოლოოდ დონეცკის ოლქის ოკუპაცია მოეხდინაო. მოგვიანებით პუტინი მართლაც ამბობდა, ამ ფრონტის ხაზზე შევაჩერებ ომსო. თუმცა ჩვენ ვნახეთ მაშინ, რომ ზელენსკიმ და უკრაინელებმა, საზოგადოებამ და სამხედროებმა კატეგორიული უარი განაცხადეს კრამატორსკი-სლავიანსკის აგლომერაციის უბრძოლველად დათმობაზე. და ვხედავთ, რომ იმის შემდეგ ერთი წელი გავიდა, რუსმა ოკუპანტებმა ჯერ ვერ შეძლეს დანაქადის ასრულება და შეძლებენ თუ არა ამას, საკითხავია. ასე რომ, შეთანხმება არ შედგა.

ახლა რაც შეეხება იმას, ომი დიდხანს გაგრძელდება თუ არა. ეს არავინ იცის - ომი შეიძლება ხვალვე დამთავრდეს. ომის დამთავრება შეუძლია მხოლოდ ერთ ადამიანს, ეს არის პუტინი. როგორც დაიწყო, ისე შეუძლია მისი შეჩერება. სხვას - არც ტრამპს, არც ზელენსკის, არც ევროპელებს ეს არ შეუძლიათ. მაგრამ არის მეორე ვარიანტი, რასაც ახლა უკრაინა ცდილობს იგივე ევროპის დახმარებით: რუსეთი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდოს, რომ მისი ხელისუფლება აიძულოს, შეაჩეროს ეს ომი. და ეს იძულება გამოიხატება სწორედ უკრაინის საჰაერო დარტყმებით რუსეთის, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რაც უკვე იძლევა გარკვეულ შედეგს.

ის, რომ კამიკაძე უკრაინული დრონები ასეთ სიღრმეში რუსეთის ტერიტორიაზე მტკივნეულ დარტყმებს აყენებენ ნავთობტერმინალებზე და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე; ასევე, ის, რომ ასეთი შეტევები მიდის მოსკოვზე, სანკტ-პეტერბურგზე, ეს ყველაფერი ფართოდ შუქდება და ის, რომ რუსეთის მილიონობით მოქალაქე ამ ომს ხედავს არა ტელევიზორის ეკრანებზე, არამედ თავისი სახლის ფანჯრიდან იქვე, გვერდით უკრაინული კამიკაძე დრონი როგორ აფეთქებს სტრატეგიულ ობიექტს, ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთს მოუწევს იმისთვის ანგარიშის გაწევა, რა მიიღო ამ ომის მეხუთე წელს. თუ ასე გაგრძელდა და უკრაინამ გააძლიერა ასეთი საჰაერო დარტყმები, მაშინ რუსეთის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

- ტრამპი თუ ითამაშებს შუამავლის როლს?

- ჩვენ ვხედავთ, რომ ტრამპი სულ ამბობს, რომ რვა ომი შეაჩერა და ის ძალიან ძლიერი პოლიტიკოსია, თუმცა მისი მეორედ გაპრეზიდენტების შემდეგ უკვე წელიწად-ნახევარზე მეტი გავიდა და აშკარაა, რომ მისი ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამება. უფრო სწორად, ყველაფერი პირიქით არის. ეს თვალნათლივ გამოჩნდა ირანთან მოლაპარაკების დროს - ჯერ ირანთან ომის დაწყება, როდესაც ტრამპი აჰყვა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს სურვილს და ერთად დაარტყეს ირანს და შემდეგ უკვე ეს მოლაპარაკებები ირანთან. აქ ურთულესი სიტუაციაა და ტრამპმა რაც უნდა აჩვენოს, თითქოს ირანთან ამ ომში მოიგო, ეს ასე არ არის. ასე რომ, ტრამპს იმდენი პრობლემა აქვს ქვეყანაში და ირანთან დაკავშირებით, რომ ძალიან საეჭვოა, მან „საქმის მომგვარებლის“ როლი შეასრულოს რუსეთ-უკრაინის ომში. მით უმეტეს, იგი ამას ეცადა წელიწადზე მეტ ხანს და, ფაქტობრივად, არაფერი გამოუვიდა.

- ალექსანდრ ლუკაშენკო აცხადებს, რომ რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის ხალხები ადრე თუ გვიან ერთად იქნებიან. რამდენად რეალურია ეს და მოსალოდნელია თუ არა, რომ უკრაინის ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდეს?

- ლუკაშენკომ კი არა, არავინ იცის, რა მოხდება. ათას ექვსას დღე-ღამეს ითვლის უკვე უკრაინის ომი, რომელმაც ხანგრძლივობით გადააჭარბა საბჭოთა კავშირ- გერმანიის ომსა და თვით პირველ მსოფლიო ომსაც კი და უახლოვდება მეორე მსოფლიო ომს, რომელიც ექვსი წელი მიმდინარეობდა. ამ წლებში იმხელა ზიზღი წარმოიშვა უკრაინელებსა და რუსებს შორის, რომ საუბარი მომავალში მათი ძმურ ერებად ყოფნის შესახებ ცოტა რთულია. თუ ლუკაშენკო ღიად მხარს დაუჭერს პუტინს, საშუალებას მისცემს რუსეთის არმიას, უკრაინას ბელარუსის ტერიტორიიდან დაარტყას და თუ ბელარუსის არმიასაც მიახმარს, ეს იქნება მისი მხრიდან უდიდესი შეცდომა და უკრაინელი და ბელარუსი ხალხის გადამტერებისკენ გადაგმული ნაბიჯი. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ბელარუსი ხალხი ამაზე არ წავა, რადგან ხედავენ, რა გამოიწვია რუსეთ-უკრაინის ომმა ამ სლავურ ერებს შორის.

ნაზი ბერიძე

ჯანყი „ნაცმოძრაობაში“

ნაცებში, შმაცებსა და გნაცებში დაკა-დაკა გრძელდება. მანამ, სანამ ჩვენი გაზეთი გამოვიდოდა, ნანული ჟორჟოლიანმა, თამარ ჩერგოლეიშვილმა, თინა ბოკუჩავამ და სხვებმა ერთმანეთი დაჭამეს. ციხიდან მიხეილ სააკაშვილი უფითილებს, ხან ვის ლანძღავს, ხან ვის. ბოლოს მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს გადასწვდა, ეგენი ბიზნესპროექტები არიან, რანაირად უნდა გაიმარჯვონო? „ახალიც“ (ნიკა გვარამია) პროექტია, ოღონდ ძმები გილაურებისაო. ღობის იქიდან ნანული გადმოდგა - ნიკანორ მელია ჩემთან სააკაშვილს დედას აგინებდაო. აქეთ თინამ დაიწყო წშუტუნი, მიშას ბიძინა ივანიშვილი უნდა დაემხო და მე დამამხოო. ნანულიმ - კარგი იქნებოდა, თინას საგარეო საკითხები მოეგვარებინა, მე კიდევ საშინაოო. თუმცა, ეგრეც არ გამოდის, მე თუ თავმჯდომარე გავხდები, პარტიას ალიანსიდან გამოვიყვანო. აუჰ, ეს იქნება ძალიან დიდი პოლიტიკური მოვლენა ევროპის მასშტაბით, მკვდარი გინდა გამოიყვანე, გინდა - შეიყვანე, ეგ ე. წ. ალიანსი, ფაქტობრივად, სარკოფაგია, საიდანაც პერიოდულად მუმიები ამოძვრებიან და დაბოდიალობენ ხოლმე. „დილეგში“ მჯდომმა სააკაშვილმა გიგა ბოკერიას და მის კნეინასაც შეუტია, ეგენი ადრე „ნაცმოძრაობას“ მართმევდნენ, მაგრამ თიკამ (თინა ბოკუჩავამ) და ზაზა ბიბილაშვილმა გადამარჩინეს, ეგენი წავიდნენ წინააღმდეგნიო. აი, ასე დაუფასა თიკას ამაგი სააკაშვილმა, მას მელობიე ნანული ამჯობინა. სხვათა შორის, ნანული ძალიან ნაწყენია ჩერგოლეიშვილზე, ეგ მე „მელობიე ნანულას“ მეძახის, რა დონეა, ეგ არის მაგისი უცხოური განათლებაო? რა ვიცი, საზღვარგარეთ რაღაც უნივერსიტეტები ჰქონია დამთავრებულიო. ნანულიმ დამაინტრიგა, ჩერგოს ბიოგრაფია გადავამოწმე: თამარას 1997 წელს დაუმთავრებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. არანაირ საზღვარგარეთულ უნივერსიტეტებში არ უსწავლია, რატომ არის „დაშინებული“ ნანული მისი განათლებით, თვითონაც ხომ ოდესღაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ყოფილა? ისე, წლები მითითებული არ აქვს, რაც ბადებს ეჭვს, რომ რაღაცას გვატყუებს, ყოველ შემთხვევაში, მას ჯავახიშვილის უნივერსიტეტის გავლენა არ ეტყობა. კარგი, დავანებოთ ამათ სწავლა-განათლებას თავი, გიგა ბოკერია ამტკიცებს, სააკაშვილი ახლა ყოველდღე სიცრუეს ავრცელებს და სისულელეებს ლაპარაკობსო.

ამასობაში თამარა ჩერგოლეიშვილმა ახალი სკანდალი გამოაგორა, კეზერაშვილის კანტორას დასცხო:

„არ დაგავიწყდეთ მეგობრებო, რომ „ტვ ფორმულამ“ 540 ათასი ლარი აიღო „ნაცმოძრაობისგან“ 4 ოქტომბრის ფარსის დადგმაში. ფული აიღეს ამ უპასუხისმგებლობის კრიტიკოსების დაბლოკვაში, რომ ხალხი იოლად მოტყუებულიყო და ცირკი გაეთამაშებინათ. ანუ ხომ ხვდებით, რომ პატიოსნების ნიშანია, როცა ასეთ ბინძურ კლოაკაში დაბლოკილი ხარ. მარტო ჩვენ კი არ ვიცოდით, რომ 4 ოქტომბერი სრული ფარსია, უბრალოდ დანარჩენები 5 ოქტომბერს ელოდებოდნენ - აბა თავს ხომ არ დაიბლოკავდნენ ტელეკლოაკებში. ეს ავტოკრატიული სიბინძურეები მიწასთან რომ გასწორდებიან, სამშვიდობოს მაშინ გავალთ“.

ხოხ, სამშვიდობოს თამარა გაგვიყვანს გიგასთან ერთად, რომელიც წინა ხელისუფლების ავტოკრატიული სიბინძურე იყო. „ფორმულამ“ რომ ფული აიღო, ეს გასაგებია და ეჭვიც არ გვეპარება, მაგრამ ბოკერიებისგან რაღაც ავტოკრატიულობაზე ლაპარაკი, უბრალოდ, სასაცილოა. მით უფრო, როცა ავტოკრატიულობაში „ქართულ ოცნებასაც“ გულისხმობს. ისე, მართო „ფორმულამ“ აიღო? „ჭუტავიზიამ“ არა? ქალბატონ ჩერგოს ესეც ეცოდინება, მაგრამ ჯერ არ ამბობს, მოვა დრო და იტყვის.

რასაკვირველია, ამას უპასუხოდ არ დატოვებდა ნანული ჟორჟოლიანი, მას ეჭვიც კი გაუჩნდა, რომ ბოკერიები ბიძინა ივანიშვილის დავალებას ასრულებენ და ამას თავისებური ლოგიკით ხსნის:

„ქართული ოცნება“ ჯერ აკმაყოფილებს გოგა ხაინდრავას საჩივარს „ფორმულას“ წინააღმდეგ და რამდენიმე დღეში, კოალიციის მთავარი ლიდერი თამარ ჩერგოლეიშვილი აკეთებს განცხადებას, რომ „ფორმულამ“ ნახევარი მილიონი შავი ფული აიღო 4 ოქტომბრის თემის აწევაში. ვინმეს გეჩვენებათ, რომ „ფორმულაზე“ შეტევა ორკესტრირებული არაა? რატომ არ გმობთ არაინფლუენსერი პოლიტიკოსის მავნებლობას? გეზარებათ გიჟთან ჭიდაობა? საკუთარი კომფორტის ზონიდან გამოსვლა არ გინდათ? სად არიან კოალიციის სხვა ლიდერები? რატომ არ ემიჯნებიან ამ განცხდებას? რატომ არ გმობენ ოპოზიციურ მედიაზე ასეთ თავდასხმას? „ფორმულას“ თავზე ღრუბელს აგროვებენ და რაც უფრო მალე გავიაზრებთ ამას, მით მეტი შანსი იქნება მისი გადარჩენის“.

არ გეგონოთ, ნანული ასე გამართულად წერდეს და სასვენ ნიშნებსაც უშეცდომოდ სვამდეს... არა, ეს მე გეცით პატივი და გავასწორე, თორემ მან იმდენიც არ იცის, რომ „ფორმულა“ ბრჭყალებში იწერება. რაც შეეხება დანარჩენს, ჩემი აზრით, მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა ჩერგოს გიჟი უწოდა და სხვები დაამუნათა, გიჟთან ჭიდაობა გეზარებათო? ჩერგო ამას არ დაუვიწყებს, არ აპატიებს, სადაც წაიჭერს, იქ აპასუხებინებს.

ცოტა ხანში გია ბარამიძემაც გამოყო ფეხი, ნანულის წაჰკბინა, ენმ ჩემოდანი არ არი, ვინმემ მოიკიდოს და წაიღოსო. ვიფიქრე, მომდევნო დღეებში ბარამიძე უფრო აგრესიული გახდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ანი წითლიძემ პირზე ხელი ააფარა, ის ნანულის უჭერს მხარს და პარტიაში რეფორმების ჩატარების მომხრეა.

სხვათა შორის, მე რომ მეგონა, თინა ბოკუჩავა „ნაციონალებს“ სამი თითის კომბინაციას აჩვენებს და სახლში წავა-მეთქი, ასე არ მოხდა, ის ისევ ცდილობს, სააკაშვილს თავი მოაწონოს, რათა ნანულის მოადგილედ მაინც დატოვოს, მაგრამ ნანულის, როგორც ჩანს, მოადგილედ მხოლოდ მარიზ (ანთილიყო) კობახიძე უნდა. აქ თითქოს ვხუმრობ, მაგრამ ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. თინა აცხადებს, ენმ-ს გარე აუდიტი არ სჭირდება იმის აღსაქმელად, რომ მძიმე გამოწვევების წინაშე ვდგავართო. პრეზიდენტ (მიხეილს ისევ პრეზიდენტს ეძახის) სააკაშვილის, ლევან ხაბეიშვილის, ირაკლი ნადირაძის ტყვეობის პირობებში, ყოველგვარი ფინანსური რესურსების გარეშე და მუდმივი გაუქმების საფრთხის წინაშე, მაინც გადავრჩით, ვერ გაგვაუქმეს, ვერ გაგვაქრესო. ბოკუჩავა ამ განცხადებით ხაზს უსვამს თავის ღვაწლს, მაგრამ სააკაშვილს არაფრის გაგონება აღარ უნდა. კი თქვა თინამ, საქმე იმ ადამიანებმა გამიფუჭეს, რომლებიც სააკაშვილს ხშირად ხვდებიანო და ეს, ალბათ, სიმართლეა, ჩვენში ასე იციან და ამ მხრივ არც „ნაცმოძრაობა“ იქნება გამონაკლისი.

სააკაშვილს ასევე დაეტაკა თაზო დათუნაშვილი, რომელიც „ელლოდან“ ერთხელ უკვე გაიქცა, მაგრამ ხაზარაძემ მოაბრუნა და ლაყბობის უფლებაც მისცა: „ძალიან საბრალო შესახედია, „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედი და დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ავტორი იქამდე დაეცეს, სადამდეც ახლაა“.

იცით, რატომ „გაწირა“ თაზომ სააკაშვილი ასე? იმიტომ, რომ მან თქვა, ხაზარაძე და ჯაფარიძე ბიზნესპროექტები არიანო. ჰოდა, თაზო ამას მოითმენდა? როგორ, მისი ბოსების შეურაცხყოფას ვინმეს აპატიებდა?

არ დაუჯერებთ, სალომე ზურაბიშვილსაც შეემთხვა ფარცაგი რამ, მას კიდევ მეცოსოპრანო მზია ნიორაძე დაუპირისპირდა და ტყეულში ამხილა. ნიორაძე იხსენებს 2019 წლის 19 ივნისს, როდესაც სალომე ზურაბიშვილს თბილისში, სახლში ეწვია, სადაც მეგობრებთან ერთად მოილხინა, ზურაბიშვილმა კი „ფორმულას“ ჟურნალისტს უთხრა, რომ 7 წლის წინ, აღნიშნულ დროს ბელარუსში იმყოფებოდა.

ეს კიდევ არაფერი, სალომე ზურაბიშვილს მიხეილ სააკაშვილიც მისდგა და ისედაც გაპარტახებული კიდევ გააპარტახა თავისებურად. ისაო, სალომე ზურაბიშვილი აღმოჩნდა ყველაზე უარესი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც საქართველოს როდისმე ჰყოლიაო: „მან სამკვდრო სასიცოცხლოდ გადაიკიდა ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი მეზობლები, თურქეთი და აზერბაიჯანი, ისე, რომ მაშინდელმა თურქეთის პრეზიდენტმა გიულმა, პირადად მომთხოვა მისი თურქული მიმართულებიდან ჩამოშორება და მას იმ პერიოდში ოფიციალურად აუკრძალეს თურქეთში შესვლა. ჩემი ვიზიტების დროს, მოულოდნელად ტოვებდა დელეგაციას, თიშავდა ტელეფონს და იკარგებოდა მრავალი დღით. სამინისტროს ხელმძღვანელობაში გაჩნდნენ სალომეს სრულიად საეჭვო ფავორიტები, რომელთაც პროფესიონალიზმთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ. ამ ყველაფრის შემყურე, პარლამენტში პრაქტიკულად დაიწყო ბუნტი სალომეს წინააღმდეგ და მე ის გადავაყენე. როდესაც ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი, სალომემ მითხრა ახლავე დაითხოვე პარლამენტი, დანიშნე არჩევნები და მე დამნიშნე პრემიერ-მინისტრადო, ამაზე გამეცინა, მაშინ ასე დავშორდით“.

შემდეგ სააკაშვილი ყვება, როგორ ადანაშაულებდა ზურაბიშვილი 2008 წლის ომთან დაკავშირებით, ის წერდა და უცხოეთში აგზავნიდა წერილებს, რომ ჩვენ დავბომბეთ მძინარე ცხინვალიო. ეს ქალი გაყალბებით გახდა პრეზიდენტი და რა თქმა უნდა, იყო არალეგიტიმური პრეზიდენტიო. აქ სააკაშვილი ამლაშებს, ზურაბიშვილი გაყალბებით კი არ გახდა პრეზიდენტი, მაშინ მეორე ტურში „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა დიდი რესურსი, მოინდომა და გაიმარჯვა. გაყალბება ნამდვილად არ ყოფილა.

ე.წ. ოპოზიციაში... უფრო სწორად, ოპოზიციურ სარკოფაგში არეულობებისა და დაკა-დაკა-ს სერიალები ჯერ კიდევ წინ გვაქვს. თქვენ სეირი სექტემბერში უნდა ნახოთ, როცა ნანული ენმ-ს „უმფროსი“ გახდება. დაველოდოთ. მანამდე ნანული კიპრზე წავა და კიდევ უფრო „მოიხოდება“. არ დაგავიწყდეთ, იქ მას სახლი აქვს.

გელა ზედელაშვილი

„ნაცებზე“ მეტად ნაცემი „ნაცები“

27 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე პარლამენტში წლიური ანგარიშით წარსდგა. ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო, რომ არა „გახარიელთა“ თავხედობა, ცინიზმი და შეურაცხმყოფელი გამოხდომები. იცით, ეს რას ნიშნავს? იმას ნიშნავს, რომ ისინი, ერთ დროს ყველაზე დიდი „ქოცები“, გადაიქცნენ ყველაზე დიდ „ნაცებად“. მგონი, „განაცებული“ „ქოცები“ უფრო საშიშები არიან, ვიდრე ძირძველი „ნაცები“. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ვიდეოების გადახვევის, დაკვირვებისა და გაანალიზების შემდეგ დავრწმუნდი, რომ რაც 27 ივნისს პარლამენტში მოხდა, ვგულისხმობ „გახარიელთა“ მიბერტყვას, ამაში დამნაშავეები თვითონ იყვნენ. ისინი დილიდანვე, როცა ირაკლი კობახიძემ ანგარიშის ჩაბარება დაიწყო, ეკონომიკურ მიღწევებზე ილაპარაკა და ქვეყნის სოციალურ ყოფასაც შეეხო, ცდილობდნენ, სიტუაცია აერიათ და ვისაც მოთმინებიდან გამოიყვანდნენ, თავები ეცემინებინათ. სიტუაცია ყველაზე მეტად დღის ბოლოს დაიძაბა, როცა მუდმივად მოლაყბე „გახარიელმა“ გიორგი შარაშიძემ ტრიბუნიდან ირაკლი კობახიძეს მიაყენა შეურაცხყოფა - რომელი პრემიერ-მინისტრი შენ ხარ, ალიევი და ივანიშვილი ერთმანეთს რომ შეხვდნენ, შენ შორიახლოს დაყვებოდი ფინიასავითო, თვითონვე აღიარებ, რომ მეორე კაცი ხარო. ეს ხალხიო, დარბაზში მსხდომ უმრავლესობაზე მიუთითა,

აფხაზეთის დასაბრუნებლად, უპირველესად, ოკუპანტთან დალაპარაკებაა საჭირო



„საერთო გაზეთის“ სტუმარია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მურმან კვარაცხელია

— ბატონო მურმან, სამი ათეული წელია, რაც უმაღლესი ეშელონებიდან მესმის, რომ აფხაზეთი საქართველოს მოურჩენელი ტკივილია, მაგრამ დრო გადის და ეჭვის საფუძველი მიჩნდება, რომ რეალურად, მხოლოდ ჩვენი თაობის ტკივილად დარჩა...

— რაც მოხდა 1992-93 წლებში, ეს ყველაფერი რუსეთისა და არა მხოლოდ რუსეთის მიერ იყო ინიცირებული, ამაში ე. წ. დასავლეთის ხელიც ურევია. რატომღაც ეგონათ, რომ ავტონომიები საბჭოთა წარმონაქმნი იყო. ისტორიულად, აფხაზეთი ისეთივე ცალკე სამთავრო იყო, როგორც საქართველოს სხვა მხარეები და ამ კუთხით სახელმწიფოებრივი გამოცდილებაც აქვს. აფხაზეთიცა და სამეგრელოც იმერეთის სამეფოში შედიოდა, ერთი გარემოებაა ხაზგასასმელი — ერთიანი სახელმწიფოს სივრცეში იყვნენ, მაგრამ დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ.

რაც მოხდა 90-იან წლებში, ეს უპირველესად, რუსეთის ინტერესებში შედიოდა. რუსეთმა იცოდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც საქართველო ხელიდან გაუძვრებოდა, ამიტომ რაღაც გზა უნდა გამოეძებნა.

— სხვათა შორის, ქართველმა სასულიერო პირმა მითხრა, რომ აფხაზეთის ხელში ჩაგდებით, რუსეთმა, ფაქტობრივად, საქართველო გადაარჩინა როგორც სრული სულიერი დეგრადირებისგან, ასევე საკუთარი თავისგანაც...

— ეს ცალკე თემაა და, თუ სურვილი გექნებათ, შემდგომ ამაზეც ვისაუბროთ — ჩემი ხედვა მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით.

რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები რუსეთის ხელში რომ საქართველოზე ზეწოლის იარაღია, უცხადესია.

საზოგადოების ერთ ნაწილზე მინდა ვთქვა — საქართველოს ხელისუფლებას რომ რუსული პოლიტიკის გატარებას აბრალებენ, რაში ხედავენ ამ პოლიტიკას? რუსული პოლიტიკა თუ არის, რატომ არ გვიბრუნებს რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს?

1989 წლის საკავშირო აღწერით, აფხაზეთში 93 000 აფხაზი ცხოვრობდა. შესაბამისი წყაროდან ვიცი, რომ ეს რიცხვი გაბერილი იყო, რეალურად 70 000-მდე იყო. ჩვენ აფხაზეთში ვცხოვრობდით, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იქ აფხაზი იყო დომინანტი — მეც ისეთივე აფხაზი ვიყავი, როგორც აფხაზი, მაგრამ მეც ისეთივე მეგრელი ვარ, როგორიც ის არის.

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთმა გადაწყვიტა საქართველოს დამორჩილება, რადგან ცენტრალურ კავკასიაში (სამხრეთი და ჩრდილოეთ კავკასია რუსული დაყოფაა), მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი 10 მლნ-ია და აქვეა სომხეთიც, გეოსტრატეგიულად ჩვენ ვართ მნიშვნელოვნად მომგებიან ადგილზე — შუა დერეფანი წარმოუდგენელია საქართველოს გარეშე.

დღეს, იმ ტვირთებმა, რომლებიც „ჩრდილოეთის გზით“ მიედინებოდა, საქართველოზე თუ არ გაიარა, სხვა მოკლე გზა არ არსებობს, სატრანსპორტო დერეფანს კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, რუსეთმა სწორად ვერ განსაზღვრა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ — რუსი შოვინისტების მოსაზრებებს დაეყრდნენ და შედეგად მივიღეთ ის, რომ **საქართველოს წაართვეს მისი ტერიტორიის ერთი მეხუთედი, მაგრამ ოთხ მეხუთედზე დაკარგეს კონტროლი.**

— იქნებ, გათვლა სწორედ ის იყო, რომ საქართველოსთან პოლიტიკურ ასპექტში სავაჭროდ ჰქონოდათ სწორედ ეს ერთი მეხუთედი...

— როცა რუსეთი ამბობს, რომ საქართველო ეწევა პრაგმატულ პოლიტიკას; ჩვენ მზად ვართ, საქართველოსთან აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა, დავსხდეთ, ვისაუბროთ... მე მიმაჩნია, რუსეთს მხედველობაში აქვს ის, რომ დავსხდეთ და დავილაპარაკოთ იმ სტატუს-ქვოდან, რომელიც დღეს არსებობს, ანუ დე-ფაქტოდან.

რა მოცემულობაც დღეს გვაქვს, რომ თურმე აფხაზებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა საქართველოსგან და დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებენ; ასევე, ე. წ. სამხრეთ ოსეთში, რომელიც ცხინვალის რეგიონი და სამაჩაბლოა ჩვენთვის, სულ 3500 კვმ-ია, ხოლო 8 600 კმ-მდე არის აფხაზეთის ტერიტორია, ეს ყველაფერი, თურმე მოგებული ბრძოლების შედეგი ყოფილა, ერთგან აფხაზებმა მოუგეს საქართველოს, მეორეგან — ოსებმა. რუსეთმა, ნაურუმ, სირიამ და ვენესუელამ თუ აღიარეს ეს ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ეს არ ნიშნავს, რომ აღიარებულა. იქ მყოფები ჯერ კიდევ სულდგმულობენ ქართველების ჯერჯერობით დატოვებულ ქონებაზე და იმით არიან.

თუ დავუშვებთ, რომ 1989 წელს მართლა 90.000 ათასი აფხაზი ცხოვრობდა აფხაზეთში, ახლა 60.000-იც აღარ არიან, თუმცა აჩვენებენ, რომ 123.000 აფხაზი ცხოვრობს აფხაზეთში.

მოსახლეობის ზრდა მართლა რომ ჰქონოდათ, წელიწადში, მინიმუმ, 8000 ბავშვი უნდა დაბადებულიყო, რეალურად კი 400 ბავშვი იბადება. ეს მონაცემები ჩემი გამოთვლილი არ არის, რუსულ საიტებზეა გამოქვეყნებული.

დღეს აფხაზეთისკენ მიმავალი ყველაზე გრძელი და დიდი გზა გადის იმაზე, რომ აფხაზები მენტალურად მოემზადონ იმის შესაგნებად, რომ საქართველო მათთვის ხსნა არის და არა კატასტროფის მომტანი.

კი, არის აფხაზური საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც მხოლოდ საშიშროებას ხედავს საქართველოში და მტრად აღიქვამს, რის გამოც ყველანაირად გაურბის საქართველოსთან რაიმე სახის ურთიერთობას და ამ განწყობას უნერგავს მომავალ თაობებს, მაგრამ არის ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილიც, საკმაოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირები, რომლებიც დიალოგისთვის გვიხმობენ — ცხადია, მათ ვინაობას არ დავასახელებ. ამ ნაწილმა იცის, რომ საქართველოს გარეშე აფხაზეთს პერსპექტივაც კი არ აქვს, რომელ სახელმწიფოებრიობაზეა საუბარი...

— კარგი, ჩახვედით სოხუმში, მერე? აფხაზეთის დღევანდელ ე. წ. ხელისუფლებას რისი გადაწყვეტის უფლება და საშუალება აქვს...

— დიახ. ჩვენი პასუხი მარტივ შეკითხვას ჰგავს: თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთის გარეშე გადაწყვეტთ ამ პრობლემას?

ამ დროს, ნახეთ, რუსეთი როგორ ისვრის აფხაზეთისკენ ქვებს — მოგვიწოდებს, დაელაპარაკეთ აფხაზეთ-

7 გვ.

პირველივე შემთხვევისას ზურგს შეგაქცევს, როგორც არაერთისთვის შეუქცევიაო, ამათთვისაც კი არავინ ხარო. ამ დროს დაიწყო ჩოჩქოლი, გაწევ-გამოწევა, „გახარიელმა“ გიგა ფარულავამ უმრავლესობის წევრ ირაკლი ხელაძეს ხელი დაარტყა. წარმოგიდგენიათ? ხელაძეს რომ ხელს დაარტყამ, ის ხომ ხელს აუცილებლად შემოგიბრუნებს? მაშინ რანაირი ხელაძე იქნება? თან არ დაგავიწყდეთ, მას „შტანგისტი“ ლაშა ტალახაძეც მიეხმარა და ბოლოს ცემის სხვა კანდიდატებმა გაავრცელეს ინფორმაცია, გიგა ფარულავა ისეა ნაცემი, სასწრაფოს გამოძახება დაგვჭირდაო. კიდევ უფრო მოგვიანებით გავრცელდა იმავე ფარულავას სურათი, სადაც სახე ჰქონდა დასისხლიანებული, მაგრამ დაკვირვებული თვალი ეგრევე შეატყობდა, რომ ეს იყო ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით გაკეთებული.

უნდა შეგახსენოთ, რომ სანამ „გახარიელები“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებზე ხელს აღმართავდნენ, მანამდე იყო შეურაცხყოფის მთელი კასკადი. მაგალითად, ტატა ხვედელიანმა ირაკლი კობახიძეს ასე მიმართა:

„ახლა თქვენ გიცავენ ადამიანები - მასონების მკვლევარი მარიამ ლაშხი, საკაშვილზე წიგნების მწერალი გიორგი სოსიაშვილი, სანამ ეს უკანასკნელი წიგნებს წერდა, გიორგი ჩაკვეტაძე პოზირებდა საკაშვილთან ფოტოებში. ეს არის „ქართული ოცნების“ ჩინური ვერსიის სახე. ბატონო ირაკლი, მეგონა, რომ მხოლოდ კვერცხის ფასთან იყავით დამარცხებული, თუმცა, განათლების ექსპერტადაც ვერ წარმოგვიდგინეთ თავი. პირველ შეკითხვას, ზუსტად რა პროპორციით ზრდით განათლებისა და მეცნიერების დაფინანსებას, თქვენ ვერ უპასუხეთ. მეორე შეკითხვას - მეცნიერებას, საერთოდ არ შეეხეთ. ასევე, ხარისხობრივ კომპონენტზე საერთოდ ვერ გვესაუბრეთ კვოტირების ნაწილში. ის კვლევა, რომელიც თქვენ წარადგინეთ, გასაჯაროებულიც არ გაქვთ, მხოლოდ პრეზენტაციაა. მინდოდა მეთქვა, ბატონო ირაკლი, თქვენი დაცვა მიქანაძეს რომ დაეწყო აქ, ამ დარბაზში, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რადგან გახარიამ გააგდო პოლიციის აკადემიიდან მიქანაძე თქვენს გამო, ვინაიდან მაშინაც პრიორიტეტი თქვენ მოგანიჭათ, ვიდრე რიგით პოლიციელებს“.

ირაკლი კობახიძის პასუხი: „ქალბატონმა ტატა ხვედელიანმა თქვა, კვერცხის ფასთან დამარცხებულიო, ეს ადრე ლევან ბურატინოვამ (ლევან გოგიჩაიშვილი, - რედ.) თქვა, თქვენმა თანაპარტიელმა. მე ერთი რამე შემიძლია გითხრათ, ძირითადად, ლაყე კვერცხებთან ვიგებ არჩევნებს გასული 10 წლის განმავლობაში, თქვენ გგულისხმობთ, რა თქმა უნდა. ამიტომ, თქვენს ადგილას კვერცხებზე არ ვისაუბრებდი. ასევე, თქვენს ადგილას არ ვისაუბრებდი „ნაცებზე“, როგორც მოგეხსენებათ, ქალბატონი ტატა იყო, ნუ შეიძლება, არც გამეხსენებინა წარსული ცოდვები, ყველას შეიძლება ჰქონდეს თავისი პოლიტიკური ცოდვები წარსულში, მაგრამ ქალბატონი ტატა ბრძანდებოდა, რასაც მაშინ „ჰიტლერ იუგენდს“, „მიშას იუგენდს“ უწოდებდნენ, იმის აქტიური წარმომადგენელია და დღეს ვიღაცებს ელაპარაკება იმაზე, რომ თითქოს, „ნაციონალებთან“ რაღაც კავშირი ჰქონდა. ქალბატონო ტატა, ეს არასწორია“.

ირაკლი კობახიძეს იუმორი აქვს, ამას ვერავინ წაართმევს. ამავე დროს შეუძლია შეურაცხმყოფელის ბოლომდე განეიტრალებაც. ეს უკვე ნიჭია. ამის შემდეგ წამოვიდა „გახარიელების“ მხრიდან ტრაფარეტული თავდასხმები, რაც მათ არაფერს მოუტანს. მაგალითად, ბერდია სიჭინავა აცხადებს, რომ ირაკლი კობახიძემ საბოლოოდ გაიფორმა თავი მოძალადე პრემიერ- მინისტრად და ის ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას. სამწუხაროდ, „ოცნებამ“ ოლიმპიური ჩემპიონები „ქოც ზონდერებად“ აქცია. აქვე გიორგი შარაშიძე ამტკიცებს, რომ მამუკა მდინარაძემ მისცა მითითება ერთ-ერთ დეპუტატს, ჩართულიყო ფიზიკურ დაპირისპირებაში. ეს სერიოზული ბრალდებაა, იგივე შარაშიძე „ტვ პირველის“ ჟურნალისტს დაპირდა, თუ კადრებს თქვენ ვერ მოიძიებთ, ჩვენ მოგაწვდითო. ჯერ არ მიუწოდებია. ნეტავ, ვის გულისხმობს მუდამ მოლაყბე შარაშიძე, რომელ დეპუტატს მისცა მითითება მდინარაძემ? ვითომ ტალახაძეს? ვითომ სხვა ვინმეს?

კი, მაგრამ მათ, „გახარიელებს“ ვინ მისცა მითითება, კობახიძე რომ მოვა პარლამენტში, ახტით, დახტით და თავები აცემინეთო? საიდან მოდის ეს დაჯალება, ბერლინიდან, ევროკავშირიდან თუ უილსონის კაბინეტიდან? ისე, „გახარიელებს“ ჯერ თავიანთი ბოსის გალახვა არ ჰქონდათ ხეირიანად მონელებული და ახლა თვითონ გაილახნენ. ალბათ, გახსოვთ, გიორგი გახარია ბათუმში დიტო სამხარაძემ რომ გაიგდო.

მეტი რა გითხრათ? განა რაც მოხდა, კარგია? არა, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ განა ის კარგია, ეს „ქართული ოცნების“ ფრთებქვეშ წამოჩიტულები ზღვარს რომ გადადიან და უმრავლესობის წევრებს დედებს აგინებენ? ჰოდა, მიიღეს ალიყური, რა პრობლემაა? როგორც „ნაცებს“ სჩვევიათ, ამათაც დაიწყეს ჯდნავილი, არიქა, გვცემესო, სასწრაფოდ სისხლის სამართლის საქმე აღძარით, დამნაშავეები დასაჯეთო, ჩვენ რომ დედებს ვაგინებთ, მაგათ უფლება არ აქვთ, ხმა ამოიღონო, მაგათ თმენის ვალდებულება აქვთო, ჩვენ არ გვაქვსო, ჩვენ ყველაფრის უფლება გვაქვსო. ეჰ, ამათ ის არ აქვთ, რაც ყველა ეპოქაში საჭიროა - კაცობა!

გელა ზედელაშვილი

ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ არც სუვერენიტეტი დავკარგოთ და არც იზოლაციაში აღმოვჩნდეთ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პროფესორი, ფილოსოფოსი ირაკლი გათიაშვილი:

— ბატონო ირაკლი, ბოლო დროს ხშირად გაისმის ფრაზა: ძველი მსოფლიო წესრიგი ინგრევა და ახალი ყალიბდება. რას მოუტანს მსოფლიოს ეს გადანაწილება და, რაც მთავარია, რა გავლენას ახდენს გლობალური პროცესები საქართველოზე?

— უპირველესად, ჩვენ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა ამოვიდეთ. დიდი გეოპოლიტიკური თუ გეოსტრატეგიული კატაკლიზმების დროს, ნებისმიერი დიდი თუ პატარა სახელმწიფო, საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ თეზისი, თითქოს ახლა დიდი მსოფლიო გადანაწილება, ახალი წესრიგი ყალიბდება, გადაჭარბებულად მეჩვენება. მსოფლიო წესრიგის შექმნის იდეა, რაც ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკისთვის გზამკვლევი, ორიენტირი გახდა, მალევე ილუზიასავით გაიფანტა. თითქოს ახლა ახალი მსოფლიო წესრიგი — ერთპოლუსიანი სამყარო ყალიბდება, სადაც დომინანტი ლიბერალური დემოკრატია იქნება და ის მთელი კაცობრიობისთვის საერთო ქუდი აღმოჩნდება, ეს პარადიგმა გაქარწყლდა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, როცა საბჭოთა იმპერია და ვარშავის ბლოკი დაიშალა, მსოფლიო დიდ ახალ წინააღმდეგობებში ჩაება. ჯერ ბალკანეთის კონფლიქტი დაიწყო, რამაც გარკვეულ ეტაპზე ცივილიზაციური ხასიათი მიიღო, ასევე, დაპირისპირების ტალღამ ისლამურ სამყაროსა და დასავლეთს შორის იფეთქა, წინააღმდეგობა გაღრმავდა აშშ-სა და ჩინეთს შორის და სხვა. შემდეგ, პუტინის მმართველობის დროს, რუსეთის ფედერაცია ხელახლა გაძლიერდა და კვლავ გაუჩნდა ამბიცია, რომ ის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის საერთაშორისო სუბიექტი უნდა ყოფილიყო, რამაც რუსეთსა და დასავლურ სამყაროს შორის ახალი წინააღმდეგობები გააჩინა. ცივი ომის დასრულების შემდეგ დაწყებულ პროცესებს, რაც ახლა მსოფლიოში დიდი კონფლიქტური კერების წარმოქმნისა და გაღვივების სახით ხდება, მე სამყაროთა შეჯახებას ვუწოდებ.

თუნდაც რუსეთ-უკრაინის ომი ავიღოთ, რის უკანაც მთელ დასავლურ სამყაროსა და რუსეთს შორის სერიოზული დაპირისპირება დგას. ასევე, ისრაელის დაპირისპირება ჰამასთან, ღაზას შეიარაღებული კონფლიქტი, რასაც გააჩნდა პოტენციალი, რომ დიდი ესკალაცია მომხადრიყო და საქმეში დიდი ძალები ჩართულიყვნენ. საბოლოოდ, ღაზაში დაწყებული პროცესი ისრაელ-ამერიკასა და ირანს შორის დიდ შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

— ამ ეტაპზე ომი შეჩერებულია. რას ითვალისწინებს ირან-ამერიკის მემორანდუმი და რეალურად თუ უჩანს პირი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას?

— დიახ, ომი თითქოს გარკვეული მოლაპარაკების შედეგად დასრულდა, ცეცხლი შეწყვეტილია, სამშვიდობო შეთანხმების პროცესი მიდის, მაგრამ საბოლოოდ, ეს კერა როდის, რა სახით იფეთქებს, არავინ იცის. არანაკლებ საშიში კერაა ტაივანი-ჩინეთის ურთიერთობა. ისეთი კერები, სადაც სხვადასხვა სამყაროთა შორის ფუნდამენტური შეჯახებები ხდება, ბევრია. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს ძველი მსოფლიო წესრიგი ახლა ინგრევა. ვიმეორებ, ერთპოლუსიანი სამყაროს შექმნის ილუზია განქარწყლდა და საერთაშორისო არენაზე სრულმასშტაბიანი წინააღმდეგობების პროცესი დაიწყო. სადამდე მიგვიყვანს ეს პროცესები: ახალ მსოფლიო წესრიგამდე, კიდევ უფრო დიდ კონფლიქტებამდე, მესამე მსოფლიო ომამდე თუ ატომურ აფეთქებამდე, არავინ იცის. აქამდე სერიოზულად არავინ განიხილავდა, რომ შესაძლებელი იყო, კაცობრიობას ბირთვული ომი დაეშვა. დღეს ყველა საუბრობს, რომ ეს შეიძლება რეალობად

იქცეს. თუ კონფლიქტების სრულმასშტაბიანი ესკალაცია მოხდა და ეს მსოფლიო ომში გადაიზარდა, აბსოლუტურად რეალურია, ამან ატომური ომის სახე მიიღოს. ომს თავისი წესები და კანონები აქვს. ადამიანი ომს აკი ღარ მართავს, არამედ, პირიქით, მის განკარგულებაში არსებულ ყველა რესურსს იყენებს, თუნდაც ეს მერე, კაცობრიობას თვითგანადგურების, თვითგაპარტახების ფასად დაუჯდეს. ასე რომ, წინასწარი პროგნოზის გაკეთება ძნელია, შეიძლება კონფლიქტები, უბრალოდ, გაიწელოს, ან დროებით გაიყინოს, იგივე, რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცეცხლი შეწყდეს, შეთანხმება დაიდოს, მერე ისევ იფეთქოს. ასევე, ირანთან დაკავშირებითაც.

— ზემოთ ახსენეთ, ერთპოლუსიანი სამყარო ილუზია აღმოჩნდაო. საქართველოსთვის რამდენად აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამდენპოლუსიანი იქნება სამყარო?

— ჩვენ — პატარა ქვეყნები, ამ მხრივ, ილუზიაში არ უნდა ჩავვარდეთ. როცა დიდი სახელმწიფოები მრავალპოლუსიან სამყაროზე ლაპარაკობენ, ისინი ამაში გულისხმობენ სამართლიანობას, რაც დიდ სახელმწიფოებს შორის იარსებებს. ანუ, საქართველო ერთპოლუსიან სამყაროში აღმოჩნდება დიდ სახელმწიფოზე დაქვემდებარებული და დაჩაგრული თუ მრავალპოლუსიანში, პატარა ქვეყნისთვის ამით რეალობა არ იცვლება.

საქართველო ირგვლივ ცეცხლის რკალშია გახვეული. ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიმსჯელოთ, მრავალპოლუსიანი სამყარო გვინდა თუ ერთპოლუსიანი, არამედ მყარი სტრატეგია უნდა შევიმუშაოთ, თუ როგორ ვიმოქმედოთ ამ ზეტურბულენტურ გარემოში, რათა ნანგრევებში არ მოვყვეთ და გავიჭყლიტოთ.

— ბატონო ირაკლი, რას ნიშნავს საქართველოსთვის ამერიკასთან ურთიერთობის გადატვირთვა და რა ახალი ვალდებულებების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა?

— მოდი, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. კი ბატონო, სახელმწიფო დეპარტამენტიდან აქაც ჩამოდიან და აშშ-შიც იმართება მაღალი რანგის ჩინოვნიკებთან ჩვენი დელეგაციის შეხვედრები, მაგრამ ურთიერთობების აღდგენის სერიოზული პროცესის დაწყების სიგნალი, ჯერჯერობით, არ ჩანს. რეალურად, დღეს აშშ-სთან არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს. ადრე მართლაც სერიოზული ურთიერთობები გვქონდა. ეს პროცესი 2001-2002 წლებში დაიწყო, როცა აფხაზეთის ომის შემდგომ, რუსეთთან პირისპირ აღმოვჩნდით. სწორედ მაშინ იდგმებოდა საქართველო-ამერიკას შორის ურთიერთობებში პირველი ნაბიჯები. ახლა ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაში ვართ.

მე დღეს პოლიტიკაში აღარ ვარ, არცერთ პარტიას არ მივეკუთვნები, მეცნიერებით ვარ დაკავებული, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“, მის საპატიო თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს ვგულშემატკივრობ, რომელმაც 9-წლიანი რეჟიმისგან ერის გათავისუფლებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. უმადურები არ უნდა ვიყოთ და ნუ დავივიწყებთ, რამხელა ქველმოქმედება აქვს მას ქვეყნისთვის გაკეთებული, რასაც დღემდე განაგრძობს. და რაც მთავარია, ამ

ხელისუფლების პირობებში ქვეყანამ მშვიდობა, სტაბილურობა შეინარჩუნა, რის გამოც მუდმივად დანის პირზე გავლა გვიწევს. ივანიშვილისა და მმართველი ძალის სწორი პოლიტიკა რომ არა, საქართველო შეიძლებოდა უფსკრულში გადაჩეხილიყო, რაც ათწლეულობით უკან დაგვწევდა და 90-იანი წლების მსგავსად, ჭაობიდან ხელახლა ამოსვლა მოგვიწევდა. საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ იმიტომ ვიბრძოდით, რომ არ გვინდოდა, კოლონია ვყოფილიყავით. მათ შორის, არც ბრიუსელის ან იმ ცენტრების კოლონიად უნდა ვიქცეთ, საითაც მივისწრაფვით. ევროპა ყოველთვის მეგობრად მიგვაჩნდა, თუმცა ახლა პირიქით, მისგან მტრულ დამოკიდებულებას ვგრძნობთ. ღირსება, სუვერენიტეტი პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ, ჩვენი ინტერესებიდან ამოვიდეთ და მთავარი ფუნდამენტი ქართული ტრადიციები, ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია უნდა იყოს. ამ პოსტულატს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იზიარებს.

ამ კუთხით, ხელისუფლების გატარებული პოლიტიკა მისაღებია. თუმცა პოლიტიკა მხოლოდ მსოფლმხედველობა, გაცხადებული პრინციპები როდია, ჩვენ რეალპოლიტიკის წარმოება უნდა შევძლოთ, რაც მთელ რიგ კომპრომისებთან, ხისტ ქმედებებთან, მანევრირებასთან, დიპლომატიურ გათვლებთან, სტრატეგიებთან არის დაკავშირებული. სწორედ ეს რეალპოლიტიკის წარმოება გვავალდებულებს, სცილასა და ქარიბდას შორის ისე ვიმოძრაოთ, რომ ერთი მხრივ, სუვერენიტეტი არ დავკარგოთ, მეორე მხრივ კი, იზოლაციაში არ აღმოვჩნდეთ. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და მუდმივად ძლიერი მოკავშირეები, ძლიერ სახელმწიფოებთან აწყობილი ურთიერთობები გვჭირდება. ყველა თუ გადავიმტერეთ, ასე არაფერი გამოვა. წინა ადმინისტრაციის დროს, აშშ-სთან გადამტერებული ვიყავით. როგორც ზემოთ ვახსენე, ჯერჯერობით, ურთიერთობის აღდგენას არც ახლა უჩანს პირი. ხვალ რა იქნება, არ ვიცით.

ევროკავშირს რაც შეეხება, საქართველოს მიმართ უსამართლოდ, მტრულ დამოკიდებულებას ავლენს. რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა, რომელთანაც არანაირი ურთიერთობები არ გვაქვს, თუნდაც დეოკუპაციის თემაზე, რაც სერიოზულ პრობლემად რჩება. უკრაინაც ჩვენზეა გადამტრებული. პატარა საქართველოს უფლება არ აქვს, მტრულ რკალში აღმოჩნდეს, რაც ძალიან საშიშია — დინებას ინერციით თუ გავყევით, სადამდე მივალთ, არ ვიცი.

— რას ფიქრობთ ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე. ჩინეთი საქართველოს უსაფრთხოების ქოლგა გახდება?

— არა, ჩინეთი ჩვენი უსაფრთხოების გარანტი ვერ იქნება. თავს ნუ მოვიტყუებთ, კავკასიის რეგიონში ჩინეთი, ჯერჯერობით, გადამწყვეტ როლს ვერ თამაშობს. თუმცა უკიდურესად არაპატრიოტი უნდა იყო, რომ მეორე სუპერსახელმწიფოსთან ურთიერთობების დალაგება არ გიხაროდეს. ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავება ჩვენი ეკონომიკისთვის წამალია. მთელი ევროპა, ამერიკა ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ გააღრმავოს ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობები. ჩვენ უნდა გვიხაროდეს, რომ მან ჩვენკენ მოიხედა და სტრატეგიული პარტნიორობისთვის სრული მზაობა გამოხატა, რაც რეალიზდა კიდეც და ეს დიდი მონაპოვარია. ამ პარტნიორობას გაფრთხილება სჭირდება. აქამდე ჩინეთი მზარდ გიგანტად მიიჩნეოდა, რომელიც ცდილობდა, აშშ-ს დასწეოდა. განა შეიძლება, ასეთ სახელმწიფოსთან მოყვრული, მჭიდრო ურთიერთობა არ გიხაროდეს?!

ისევ და ისევ ვამთავრებ იმით, რითაც დავიწყე — ჩვენი საკუთარი ინტერესებიდან უნდა ამოვიდეთ.

თამარ შველიძე

5 გვ.

აფხაზეთის დასაბრუნებლად, უპირველესად, ოკუპანტთან დალაპარაკებაა საჭირო

სო, ამ დროს, არ დაგალაპარაკებს. თუ დაგალაპარაკებს, იქვე ჩაგიდვკენ-ბა და ერთს რომ ანიშნებს თვალით, შეაცვლევინებს ყველაფერს. ფაქ-ტობრივად, ჟენევის ფორმატი ჩაშ-ლილია – ეს არის დროის გაწელვის პოლიტიკის ერთ-ერთი სახეობა.

ტურიზმით აყვავებული და აშე-ნებული ქვეყანა რანაირად წარმო-უდგენიათ, ნეტავ? ყველაზე განვი-თარებული ტურისტული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მხო-ლოდ 8-9% შეიძლება შეავსოს ტუ-რიზმმა, ეს არის მსოფლიო კანონზო-მიერება და აფხაზეთის შემთხვევაში ეს როგორ დაირღვევა?

– გადავიდეთ კონკრეტიკაზე...

– მე ვარ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, არჩეული ოჩამჩირი-დან 1991 წლის ოქტომბერში. იცით, რომ აფხაზეთის დაცემის შემდეგ, ჩვენ ლეგიტიმურობა შევინარჩუნეთ – პარლამენტის დადგენილებით გაგ-ვიგრძლდა ვადა აფხაზეთში დაბრუ-ნებამდე.

– იცით, მე არ მესმის ხელი-სუფლების პრინციპი, რომ მხო-ლოდ იმ შემთხვევაში დალაპარა-კებიან რუსეთს, თუ ოკუპირებულ ტეიტორიებს დააბრუნებს – მხო-ლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლე-ბელი დიალოგიო. ჩვენი პოზიციი-დან ულტიმატუმის ენა – „მდე“ და „შემდეგ“, არასერიოზულ მიდგო-მად მიმაჩნია...

– რამდენად რელევანტურია თა-ნამედროვე პოლიტიკაში ასეთი მიდ-გომა, ნამდვილად ვერ გეტყვით...

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი ვარ და მყავს რამდენიმე თა-ნამოაზრე, სულ ცხრამეტი კაცი ვართ, რომლებიც ვფიქრობთ და ვცდილობთ, შევქმნათ პრობლემის გადაჭრის გზები. სამწუხაროდ და საუბედუროდ, აფხაზეთის უმაღლე-სი საბჭოს შემადგენლობაში არიან პიროვნებები, რომლებმაც პროვინ-ციული ნეპოტიზმი დანერგეს. თემას არ განვავრცობ და უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ვინა-ობების დასახელებისგანაც თავს შე-ვიკავებ, მაგრამ ეს რას ნიშნავს, მო-გეხსენებათ.

ამიტომ, რამდენიმე კაცი გა-ვემიჯნეთ საეჭვო პროცესებს და მხოლოდ საქმის კეთებაზე ვართ ორიენტირებული და არა სახელმწი-ფოებრივი მანტიის ქვეშ პირადი კე-თილდღეობის შექმნაზე. ახლა ჯერი სახელმწიფოზეა, მან უნდა მოგვაქ-ციოს ყურადღება!

მე ვარ ამის ინიციატორი – ჩვენ გვაქვს ჩვენი კონცეფცია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. სხვადასხვა სფეროებში, როგორ უნდა დაებრუნ-დეთ აფხაზეთში.

ვიღაცას, შეიძლება, ათასი აზრი ჰქონდეს, თუნდაც ოპოზიციას, მაგ-რამ კონცეფციის შექმნაზე არავის უფიქრია. პირადად მე, ვერაფრით წარმოვიდგენ, რომ მთავრობის ძა-ლისხმევის გარეშე რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები სა-ქართველოს ერთიან სხეულს და-უბრუნდება, ამიტომ იმ მთავრობის გვერდზე ვდგავართ, რომელიც არის!

მე და ჩვენ გვინდა, რომ ხელი-სუფლებას დაველაპარაკოთ. მოგ-ვისმინონ, გაეცნონ ჩვენს კონცეფ-ციას, იქნებ, რას ვთავაზობთ, მაგრამ ჯერჯერობით „ზემოდან“ დუმილია – ვფიქრობ, ეს დროებითია და მხო-ლოდ დროის ფაქტორია...

მაგალითად, დღეს მე თქვენ ჩვენს კონცეფციაზე ვერ გესაუბრებით იმი-ტომ, რომ ჯერჯერობით საჯარო სივრცეში არ არის გამოტანილი...

– **იმედს ვიტოვებ, რომ მას შემ-დეგ, რაც თქვენი კონცეფცია გასა-ჯაროვდება, ცალკეულ საკითხებზე საუბარს არ დაგვზარდებით – წი-ნასწარ გართმევთ პირობას...**

– კი, ბატონო. ჩვენს კონცეფცია-ში უამრავი საკითხებია, ბლოკებია...

ჩვენ რომ აფხაზეთში დაბრუნებას ვაპირებთ, სად ვბრუნდებით, რა სის-ტემა გვხვდება იქ?

დღეს ხომ იქ არანაირი სისტემა არ არსებობს, მხოლოდ იყიდე-გაყი-დეა, ან შენთვის მიწას თუ მოჩიჩქნი...

რაც წითელ ხაზად გასდევს ჩვენს კონცეფციას, ეს არის აგროინდუსტ-რიის განვითარება.

მთავრობამ წინ გაიხედა და რამ-ხელა ნაბიჯი გადადგა, წარმოიდ-გინეთ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც დღეს რე-ფორმას გადის, აგრომიმართულება მისცა. ეს ვერ გაიგო ზოგიერთმა და გააპროტესტა, ძველებურად უნდა იყოსო. ეკონომიკის მიმართულების ხელმძღვანელი ვარ სოხუმის უნი-ვერსიტეტში, პროფესორი – ერთ-ერთმა პირველმა დავუჭირე მხარი რეფორმას და, ატეხეს ხმაური, ხე-დავთ, საკუთარის გაუქმებას დაუჭი-რა მხარიო.

მე საკუთარი მიმართულების გაუქმებას კი არ დავუჭირე მხარი, არამედ იმ მომავალს, რომელსაც მე ვხედავ. პრინციპზე დადგომა „მე ასე მინდა!“ – არ არის აზროვნების პრო-დუქტი..

„ერთი ქალაქი, ერთი უნივერ-სიტეტი“ რას ჰქვია, „სოხუმის უნი-ვერსიტეტი გამოშიგნეს!“ – არავის არაფერი არ გამოუშიგნია, პირიქით, უნივერსიტეტს იქით ემატება.

ჩვენ სოხუმში გვქონდა საქარ-თველოს სუბტროპიკული მეურნე-ობის ინსტიტუტი, რომელიც ახლა ქუთაისშია ერთ-ერთ ფაკულტეტად შესული წერეთლის სახელობის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტში. დღეს არ „წავართმევთ“, მაგრამ როდესაც აფხაზეთში დავბრუნდებით, იქ ჩვენ დაგვხვდება აფხაზეთის სახელმწი-ფო უნივერსიტეტი, სადაც აგროეკო-ნომიკას შეასწავლიან, აგრობიზნესს და აგროინდუსტრიის მიმართულე-ბას შევქმნით – ეს არის ამ რეფორმის ავანჩავანი.

თქვენ კარგად იცით, რომ, რო-დესაც თანამდებობას იკავებენ ზო-გიერთები, შემდეგ ძალიან უჭირთ ამ თანამდებობიდან წასვლა... აფხა-ზეთის უმაღლესმა საბჭომ არ უნდა განიხილოს მთავარი – სასწავლო პოლიტიკა?

ზოგს რატომღაც ჰგონია, რომ პოლიტიკა მხოლოდ ერთია და მხო-ლოდ ის არის პოლიტიკა, ხოლო თვითონ არის პოლიტიკოსი. პოლი-ტიკა უამრავი არსებობს: სახელმ-წიფო პოლიტიკა, ეკონომიკური პო-ლიტიკა, დემოგრაფიული პოლიტი-კა, სოციალური პოლიტიკა და ა. შ. სწორედ ეს გვინდა ჩვენ, ამ კუთხით გვინდა განვავითაროთ და სწორედ ამიტომ მომიაზრებენ ოპოზიციაში – თუ უსამართლო ოპოზიციონერი ხარ, მაშინ მარგინალი ხარ, ანუ შენ იმ სოციუმის გარეთ ხარ, რომელი სოციუმიც ირგვლივ არის და მის ინ-ტერესებს არ ითვალისწინებ. დღეს ძალიან შორს არიან ამისგან, მაგრამ მე კონფორმისტი ვარ – უმრავლესო-ბის აზრს ხომ უნდა დაემორჩილო... დღევანდელი ე. წ. ოპოზიციისა არ იყოს, ყოველი წაგებული არჩევნების შემდეგ ხელახალი არჩევნების და-ნიშვნას რომ ითხოვენ – ბარემ იყვი-რონ, რომ სანამ მე არ მოვალ ხელი-სუფლებაში, არჩევნებს არ ვცნობო. ეს არის უმცირესობის ზეწოლა და ზეგავლენა უმრავლესობაზე და ეს არ მინდა მე არანაირ სივრცეში, ამიტომ, ნამდვილად კონფორმისტი ვარ.

პოლიტიკა ყოველთვის ეკონო-მიკაზეა დაშენებული, ანუ ჯერ ფუნ-დამენტი, მატერიალური ბაზა უნდა შექმნა, რომ ზედ პოლიტიკა დააშენო, მაგრამ ამაზე წარმოდგენა არ აქვთ ზოგიერთებს, შესაბამისად, არც არა-ფერს ამბობენ და შენ თუ ეუბნები და უხსნი, არ აინტერესებთ.

– უმაღლესი საბჭოს არჩევის უფლება არ გაქვთ, ხომ?

– დიახ, არ გვაქვს ეს უფლება. არჩევა არის მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიული პრინციპით. როდე-საც დავიბრუნებთ აფხაზეთს, ყველა დავდებთ ჩვენს მანდატს და იმ დღეს-ვე მოხდება ხელახალი არჩევა.

ძალიან ძნელია, თანამდებობას შეელიო, ვერაფერს ვერ აკეთებს ადა-მიანი, არანაირი პოლიტიკური პერს-პექტივა არ გააჩნია და არც მიდის, არადა, არსებობს რესურსი, რომ ჩვენ ბევრი რამ გავაკეთოთ.

ყველაფერს რომ თავი დავანე-ბოთ, უპირველესად, თუ შენ პოლი-ტიკური ორგანო ხარ, ხომ იცი, რაც მოხდა აფხაზეთში და დღეს რა ხდე-ბა იქ – სახალხო დიპლომატიას რა უდგას წინ? მაგრამ შენ რომ სოხუმის დაცემას ზეიმობდი, ხალხი არ მოგენ-დობა – ამაშია საქმე!

ხელმძღვანელი პირის თანამდე-ბობა რომ აქვს ადამიანს, მას უნდა ჰქონდეს საკუთარი მკაცრი პროგ-რამა და ვინაიდან შიშველი ხელე-ბითა და მარტოკაცი ამ პროგრამას ვერ განახორციელებ, უნდა მიგესვ-ლებოდეს ზედა ეშელონებთან; უნდა შეგეძლოს დადგენილებების მიღე-ბა; პარლამენტში მისვლა, მთავ-რობაში და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აკეთო დიდი საქმე, მაგრამ როცა ხელში არაფერი გიკავია, არანაირი კონცეფცია არ გაგაჩნია და მხო-ლოდ არაფრისმომცემი შეხვედრე-ბის ორგანიზება შეგიძლია, ასე საქ-მე არ კეთდება.

„მე ყველაფერი ვიცი!“ – ამის ყვირილი საქმის კეთება არ არის. სოკრეტემ თქვა, მე ვიცი ის, რომ არა-ფერი არ ვიციო და, შენ თუ ამბობ, რომ ყველაფერი იცი, აშკარაა, რომ არაფერიც არ იცი!..

– ბატონო მურმან, თუ აფხაზეთ-ში ვერ დავბრუნდით, ისე რა აზრი აქვს ნებისმიერ კონცეფციას? ახლა ვინც აფხაზეთშია და, მათგან ნა-წილი მტრად გვთვლის, ნაწილი – სხვაგვარად უყურებს დღევანდელ საქართველოს, მათ, ყველას თუ არ დაელაპარაკე, მაგრამ იმას კიდევ, რუსეთი არ დაგალაპარაკებს თავი-სი ჩარევის გარეშე, ეს ხომ იგივეა, ციყვი რომ დარბის დოლურაში...

– რუსეთთან დალაპარაკება ამ მთავრობის პრერეგატივაა. „ოკუ-პანტი“ ნიშნავს, რომ ტერიტორიის ოკუპირება მოახდინა და გავიგეთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ შენ თუ არ დაელაპარაკე იმ ოკუპანტს და არ უთხარი, რა გინდა და რას ფიქრობ, უძახე „ოკუპანტი“ და იყა-ვი. ბავშვი რომ ტირის და არ ამბობს რა ატირებს, ან ტირის და, შენ, მშო-ბელი რომ არ უსმენ, რატომ ტირის, სტკივა, შია თუ რა აწუხებს, მაშინ ვინ ხარ შენ?

ამიტომ, ჩვენ უნდა მივაწოდოთ ამ მთავრობას ჩვენი ხედვა, რაც კონ-ცეფციად გვაქვს ჩამოყალიბებული, მაგრამ ვინც ისიც არ იცის, კონცეფ-ცია რა არის, რა უნდა მიაწოდოს და დადიან ასე, უთავოდ, კონსტიტუციო-ურ ცვლილებაზე ლაპარაკობენ – ჯერ ის ცვლილება უნდა მოახდინო, რაც აფხაზეთსკენ ნაბიჯს გადაგადგ-მევინებს შესაგებებელი ნაბიჯის მომ-ლოდინეს...

– რატომღაც, პარლამენტში წარმომადგენელიც აღარ გყვავთ, რომელიც თქვენს სათქმელს მიი-ტანდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებამდე...

– ქალბატონო მაია, როგორც სახელმწიფოებრივ ავტომონიურ წარმონაქმნს, ჩვენ გვაქვს საკანონმ-დებლო ინიციატივის უფლება. ახლა ჩვენი გუნდი ვაკეთებთ ისეთ კონცეფ-ციას, რომ თუ გაეცნობიან, დალა-გებული იქნება, მართლაც რა უნდა გაკეთდეს.

– სხვათა შორის, დღევანდელ ხელისუფლებას ერთი უდავოდ კარ-გი თვისება აქვს – სახელმწიფოს შე-ნებისთვის სასარგებლო რჩევა-დაკ-ვეთას არ უკადრისობს, ითვალისწი-ნებს და მოქმედებს...

– ხომ ვხედავთ ევროკავშირის ქმედებებს საქართველოს მიმართ – აბსოლუტურად სწორად თქვა ბა-ტონმა ირაკლი კობახიძემ, რომ მათი რეზოლუციები მხოლოდ იმ ქაღალ-დის ფასია, რომელზეც ის წერიაო. მეც ასე ვიტყოდი!

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არა-ვის გზით არ მივდივართ – საქართ-ველომ უკვე დაჰკრა ხელი და თქვა: მე ჩემი გზა მაქვს! საქართველო სუ-ვერენული და დამოუკიდებელი სა-ხელმწიფოა. თუ გინდათ, ორმხრივი და თანასწორი პირობებით ვითანამ-შრომლოთ. არ გინდათ? – კარგად ბრძანდებოდეთ!

ესაუბრა
მაია ჭელიძე

„დიდი გიჟეული“, ანუ ვინ არის მსოფლიო ბოსი?

16 ივნისს ისინი საფრანგეთში შეიკრიბნენ, თავიანთ გაერთიანებას „დიდ შვიდეულს“ უწოდებენ, სინამდვილეში „დიდი გიჟეულია“. აშშ, იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, კანადა. ეს რანაირი „დიდი შვიდეულია“? სად არის ჩინეთი? სად არის ინდოეთი? სად არის თურქეთი? აღარაფერს ვამბობ რუსეთზე. 1975 წლამდე იყო „დიდი ექვსიანი“, დაიმატეს კანადა და გახდა „დიდი შვიდიანი“, 1997 წელს დაიმატეს რუსეთი და გახდა „დიდი რვიანი“. მოგვიანებით, 2014 წელს რუსეთმა დანარჩენები გააბრაზა და გარიცხეს. თქვენ გგონიათ, რუსეთი „შვიდიანელებს“ მხოლოდ ახლა აბრაზებს? არა, ეს ქვეყანა აშშ-ელებისა და ევროპიელების მუდმივი თავის ტკივილია. 2005 წელს ბრიტანეთის მთავრობამ წამოაყენა წინადადება, ხუთი წამყვანი ქვეყანა - ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, მექსიკა და სამხრეთ აფრიკაც მოვიწვიოთო, მაგრამ საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა და შემდგომში ყველას მიავიწყდა.

„დიდი შვიდიანის“ სხდომაზე დონალდ ტრამპი მოგვიანებით გამოცხადდა, მაგიდას შემოუარა, წუთით შეჩერდა, გაიღიმა და გამოაცხადა: მე ვარ აქ ბოსი!

სტარმერმა, მაკრონმა და მერცმა გაიცინეს. ბოსი დაჯდა და დაიწყო საქმეების გარჩევა. მთავარი განხილვის საგანი იყო უკრაინის სამხედრო დახმარება, მათ შორის შორეული მოქმედების რაკეტების ერთობლივი წარმოება, ირანის ბირთვული პროგრამა და ორმხრივი შეხვედრები. დაწერეს განცხადება, მივესალმებით შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის პრეზიდენტ ტრამპის ძლიერი ხელმძღვანელობით და შუამავალი ქვეყნების მხარდაჭერით მიღწეულ შეთანხმებასო. მათ ხაზი გაუსვეს, რომ თურმე შეთანხმება იძლევა ისტორიულ შესაძლებლობას, ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა აღიკვეთოს და მის რეგიონულ და ბალისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული საფრთხეები მოგვარდეს.

ტყუილი აღმოჩნდა ევროპელი „ლიდერების“ კუდის ქიცინი ბოსთან და მისი ქებადიდება. მომდევნო დღეებში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, ჯეი დი ვენსის ხელმძღვანელობით შვეიცარიაში ირანის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება უნდა გამართულიყო, თითქოს ნორმალურად დაიწყო კიდევაც, მაგრამ ბოლოს მაინც ჩაიშალა. ირანის წარმომადგენლებმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს ხელის არ ჩამოართვეს. მანამდე კი, მანამდე, „დიდი შვდეულის“ შეხვედრაზე დაწერილი განცხადება ასე მთავრდება: „კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ირანს ბირთვული იარაღი არასდროს ექნება“.

ამ სიტყვების შემდეგ რომელ მოლაპარაკებასა და ომის დასრულებაზეა საუბარი? მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა რაღაც ქაღალდზე ონლაინრეჟიმში ხელი მოაწერა და განაცხადა, მორჩა, ირანთან ომი დავასრულეო, კიდევ მრავალჯერ დაიბომბა ირანიც, ისრაელიც და არაბულ ქვეყნებში განთავსებული აშშ-ის სამხედრო ბაზებიც. თუმცა, როგორც ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბას არაღჩიმ 23 ივნისს განაცხადა, ირანის ნავთობზე დაწესებული სანქციები ნაწილობრივ მოიხსნა და გაყინული აქტივების ნაწილი გათავისუფლდა. რასაკვირველია, ეს არ არის ომის სრულად დამთავრების წინაპირობა, მაგრამ ცოტაოდენი შეღავათი მაინც არის.

„ბოსმა“ შეხვედრის შემდეგ თქვა, კირ სტარმერი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგებაო. მეორე დღეს მართლაც გადადგა. ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდა ირონიული ეჭვი, რომ შესაძლოა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრი, პაკისტანელი ისლამისტი ქალი, შაბანა მაჰმუდი გახდეს. ისე, დღევანდელ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და გერმანიას რომ ვუყურებ, არც ეგ არის გამორიცხული და საერთოდ, გადახედეთ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, ვინ თამაშობენ ევროპული ქვეყნების ნაკრებებში, საცოდაობაა პირდაპირ.

ამ ყველაფრის ფონზე ისევ გაბლატავდა უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი. იგი იქამდეც მივიდა, რომ ბელარუსის პრეზიდენტს, ალექსანდრ ლუკაშენკოს ულტიმატუმი წაუყენა: პირველი - თურმე ერთი კვირის განმავლობაში უკრაინის მოსაზღვრე რეგიონებიდან რეტრანსლიატორები უნდა გაიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინის შეიარაღებული ძალები ამ პრობლემას თვითონ გადაწყვეტენ; მეორე - ბელარუსის ტერიტორიიდან უნდა მოხდეს რუსეთის ტაქტიკური ბირთვული იარაღისა და „ორეშნიკის“ გატანა. ზელენსკი ლუკაშენკოს იმასაც ავალდებულებს, რუსეთს საწვავით ნუ ამარაგებო.

შეიძლება გაგიკვირდეთ, სად აქვს ბელარუსს იმდენი საწვავი, რუსეთი მოამარაგოსო? საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: რუსეთიდან ბელარუსში გადის ნედლი მასალა, მუშავდება და უკან ბრუნდება. ქართველი ანალიტიკოსების თქმით, ზელენსკის ულტიმატუმი ლუკაშენკოს მიმართ უნდა განვიხილოთ არა როგორც მისი პირადი ინიციატივა, არამედ როგორც რუსეთის წინააღმდეგ ომში უკრაინის მხარდამჭერი რიგი ევროპული ქვეყნების კოლექტიური გადაწყვეტილება. ულტიმატუმის მიზანია ლუკაშენკოს დამხობა. არ დაგავიწყდეთ, „ბატკას“ დამხობა ერთხელ უკვე სცადეს, მან იარაღი აიღო ხელში და არ გამოუვიდათ. არ ისვენებენ, ისევ წვალობენ, ისევ უნდათ მისი დამხობა.

როგორ წავიდა თანამდებობიდან კირ სტარმერი? ტირილით, ცრემლების ღვარღვარით. ჩვენ არ ვიცით, რა უთხრა სტარმერს მეფე ჩარლზმა, მაგრამ ის კი დავინახეთ, რომ მას არავის გამოეტირა და ისიც ვნახეთ, როგორ გააგდო თანამდებობიდან „ბოსმა“.

ვინ იქნება შემდეგი? ვის გააგდებს უახლოეს ხანში „ბოსი?“ სხვათა შორის, ტრამპი ადრე უფრო გაბედული იყო, პრეზიდენტებს იტაცებდა და აპატიმრებდა. ერთი რა მაგის პასუხია და ვენესუელის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლას მადურო რატომ არ იწერება რამეს ციხიდან მიხეილ სააკაშვილივით, აშშ ხომ დემოკრატიული სახელმწიფოა? რატომ არ დებს ყოველ დილით პოსტებს მადურო, რატომ არ მოუწოდებს ვენესუელის მოსახლეობას რევოლუციისკენ? არა, რა, მართლა გაოცებული ვარ, ამერიკა ხომ დემოკრატიისა და პლურალიზმის ოაზისია? ვხუმრობ, ოაზისი კი არა, რასაც ვუყურებ, მგონი, ინდიელებს რომ ჟუჟავდნენ, ისევ იქ არიან. უბრალოდ, ახლა ინდიელები, ფაქტობრივად, აღარ არიან და ირანელებს ჟუჟავენ. როცა ირანელების ხოცვა მობეზრდებათ, მერე სხვებზე გადავლენ. უკრაინელები უკვე ამოხოცეს რუსების ხელით. ავღანეთშიც კარგახანს ირბინეს ავტომატებით, მერე უცებ გამოიქცნენ და 80 მილიარდი დოლარის შეიარაღება იქვე დაყარეს. იაპონიაში რაც გააკეთეს, მაგაზე აღარაფერს ვიტყვი...

„ბოსმა“ ძალიან აწყენინა იტალიის პრემიერ-მინისტრს ჯორჯა მელონის, გადმოდგა ბრიფინგზე და დაიწყო ჭორაობა, მელონი კულისებში მეხვეწებოდა, შენთან სურათი გადამაღებინეო. მელონი ახტა, რა მჭირს სამაგისო, ამას სურათის გადაღება ვთხოვოო? მე და იტალია არავის არაფერზე ვეხვეწებითო. ალფრედოვიჩს ხმა აღარ ამოუღია, მიხვდა, რომ მიქარა... ან ვერ მიხვდა და ცოლმა მიახვედრა, ქალებთან ეგეთი უტაქტო ლაპარაკი არ შეიძლებაო.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, ტრამპმა ზელენსკის უთხრა, რომ ის აღფრთოვანებულია უკრაინის სამხედრო წარმატებებით. მავანთა მტკიცებით, ტრამპი უფრო კეთილგანწყობილი ხდება უკრაინის მიმართ. არ დაგავიწყდეთ, მანამდე განაცხადა, უკრაინელები გულზე არ მეხატება, ოღონდ ქალებს არ ვგულისხმობო. 80 წლის „ჯეელი“ მაინც არ ცხრება, ისევ ქალებისკენ გაურბის თვალები. არაა, ამის გამოსწორება არ იქნება.

არ დაიჯერებთ, აშშ-ის პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ვინმე დეივ კინგის წერილი, სადაც წერია, რომ დონალდ ტრამპი ალექსანდრე მაკედონელზე, რომის ყველა იმპერატორზე, ჩინგიზ-ყაენზე, ატილაზე, ადოლფ ჰიტლერზე, მაო ძედუნსა და იოსებ სტალინზეც კი მაგარია. კინგის მტკიცებით, ყველა მათგანის ძალაუფლება მხოლოდ „ლოკალური“ იყო, მაშინ, როცა ტრამპს, ლოგისტიკის, ტექნოლოგიებისა და გლობალური დოლარის სისტემის წყალობით, ნამდვილი მსოფლიო წვდომა აქვს, ანუ ფაქტობრივად, მსოფლიო მბრძანებელია. დიახ, ეს ტრამპმა სოციალურ ქსელში თავის გვერდზე გამოაქვეყნა იმის ნიშნად, რომ ამ ბოდვას სიმართლედ მიიჩნევს და თავი ყველაზე მაგარი ჰგონია. ისე, აშკარაა, ალფრედოვიჩს კი სჭირდება ერთი მსოფლიო ომი, სტალინზე მაგარი რომ იყო, ერთი მსოფლიო ომი მაინც ხომ უნდა მოიგო? კი, ლოკალურ ომებს იწყებს და ამთავრებს, მაგრამ ეს მაინც არ კმარა.

და ბოლოს... გირჩევთ, პირჯვარი გადაიწეროთ და სამჯერ წარმოთქვათ: უფალო, შეგვიწყალენ... უფალო, დაგვიფარე გიჟებისგან.

ძალიან გთხოვთ, არ შემეკამათოთ... კაცი, რომელმაც თავის 80 წლის იუბილეზე თეთრი სახლის ეზოში ჩხუბი გამართა, ამას ქვეყნის 250 წლისთავიც დაამთხვია და ილია თოფურიას სისხლით დატკბა, მხოლოდ გიჟი კი არა, ძალზედ საშიში პიროვნებაც გახლავთ. ისე, ტიპიური ამერიკელია, რაა.

და ბოლოს... „უკრაინა აღარ არსებობს. უკრაინის მამრობითი სქესის მოსახლეობა ამოწურულია, ის მკვდარია. მადლობა ყველას, ვინც აშშ-ში უკრაინის დროშას აფრიალებს (ადმინისტრაციაში და კონგრესში), მაგრამ ისინი მკვდრები არიან“! - ამბობს ამერიკელი ჟურნალისტი ტაკერ კარლსონი. სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო.

გელა ზედელაშვილი

ფსევდოლიბერალი ჟურნალისტი ყველგან ერთნაირია

ტრამპი (ტექსტთან ახლოს): „CNN ძალიან კორუმპირებული ორგანიზაციაა. მისი კორუმპირებული რეპორტიორი აქ დგას. არასდროს იღიმის. ვუყურებთ ახალგაზრდა, ლამაზ ქალს, და ის არასდროს იღიმის. თვალებში სიძულვილი აქვს, რადგან ჩვენ გვაქვს საზღვრები, რადგან გვყავს ძლიერი ჯარი, რადგან ვამცირებთ გადასახადებს, რადგან ვაკეთებთ იმას, რაც ყველას სურდა და ჩვენ მოვიგეთ არჩევნები.

რეპორტიორები ბედნიერები უნდა იყვნენ. ისინი არ უნდა იყვნენ უბედურები. ისინი ძალიან ბედნიერები უნდა იყვნენ. იმიტომ, რომ იცით, რას ვაკეთებთ? ჩვენ უნდა გადავარჩინოთ აშშ.“

ბედნიერია ტრამპი, რომ მას ჩვენი ფსევდოლიბერალი ჟურნალისტები არ უნახავს, ნავთის რიგში მდგომებივით რომ ჩამოსტირით ცხვირ-პირი, ან გაავებულები რომ ყვირიან, ზოგი კი, სულაც უშვერი სიტყვებით ილანძღება, ხოლო სიძულვილს რაც შეეხება, მხოლოდ თვალებიდან კი არ აფრქვევენ, რადიაციული ეფექტით ასხივებენ, რადგან საქართველოს გადარჩენა მათი სიკვდილის ტოლფასია...

ტრამპმა არ იცის, ჩვენებს არ იცნობს და სწორედ ამიტომ უნდა იყოს ბედნიერი. ჩვენ მრავალი მიმართულების ჟურნალისტები გვყავს, უპირველესად, უსამშობლო ჟურნალისტები, რომლებიც სისხლის სამართლის იმ მუხლით უნდა იყვნენ გასამართლებულები, რომელსაც სამშობლოს ღალატი ჰქვია, მაგრამ აბა, როგორ, როცა სამშობლოს მოღალატეობაზეც შერჩევითი სამართალი გვაქვს?!

ჩვენ „დიდი გეოგრაფი“ ჟურნალისტებიც გვყავს, რომლებმაც ყაზახეთი და უკრაინა საქართველოს მეხუთე და მეექვსე მეზობლად გამოგვიცხადეს და სულაც, გადაჯეგილი ვართ ფაქტობრივი, კარტოგრაფიული და ტოპონიმიკური შეცდომებით, მაგრამ უცოდინრობის მომწმენდების შტატიც გვაქვს – ეს, ძირითადად, გამოწვეულია ჟურნალისტების გადაღლილობით, ტერმინოლოგიის არასწორი თარგმანით ან სათანადო რედაქტორული გადამოწმების არარსებობითო, გვეტყვიან და უნდა დავიჯეროთ.

გადაღლა კი არა, უცოდინრობაა, დილა-საღამოს და წლობით რომ მიხსნის ჟურნალისტი რაღაცას „სახელმწიფოებრივი წყობილების“ შესახებ და ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს სიტყვებს: წყობა - წყობილება; მცნება – ცნება; აღქმა – აღთქმა; სწავლა – სწავლება; თარგმნა – თარგმანი; მოკვდავი – მომაკვდავი; კამპანია – კომპანია; თარგმნა - თარგმანი; სწავლა – სწავლება; პენალი – პენალტი, ადრესატი – ადრესანტი, დიპლომატი - დიპლომანტი; დაბალი – მდაბალი; ახლობელი – მახლობელი; დიპლომატი – დიპლომანტი; აფექტი - ეფექტი; მოწამე – მოწმე; მძლეოსნობა და ძალოსნობა და ა. შ.

ნეტავ, სი-ენ-ენის ჟურნალისტებსაც ისე განსაკუთრებით უყვართ ყველაფერი „ცივილიზებული“ და „ცივილური“, რომ, რა შემთხვევაში გამოიყენონ ეს სიტყვები, მნიშვნელობას არ ანიჭებენ?

ჩვენთან, კულტურულად და ეთიკის დაცვით, აღრევას უწოდებენ ენობრივ დომხალს, მაგრამ მე პირდაპირ ვარქმევ სახელს – ეს უცოდინრობისა და მენტალური პრობლემის ნაზავია. ადამიანმა, ამ შემთხვევაში, ქართული სალიტერატურო ენა მხოლოდ საქაქანოდ იცის, მაგრამ შესწავლა არ უნდა, რადგან ერცხვინება, ის ხომ „განათლებული დაიბადა“...

სწორედ ამიტომ ამბობენ ასეთი „განათლებულები“, მაგალითად:

„გულაღმა დავემხე“. გულაღმა კი არ დაემხო, გულაღმა დაეცა, ხოლო პირქვე – დაემხო;

„გული ვინუგეშე“ – გული კი არ ინუგეშა, არამედ, გული დაიმშვიდა და თავი ინუგეშა;

„გვერდზე დაიჭირა“ – გვერდზე კი არ დაიჭირა, გვერდზე გადადო და შორს – დაიჭირა;

„სტუმართმოყვარეობას გაუწევს“ – რას გაუწევს! სტუმართმოყვარობას გამოიჩენს, ხოლო მასპინძლობას – გაუწევს.

ტრამპმა შემაგულიანა, თორემ ყოველთვის ძალიან მეზარება კედელზე ცერცვის შეყრა, დუმილს ვამჯობინებ ხოლმე „კედლებთან“, მაგრამ ისე შემაწუხა „სახელმწიფოებრივმა წყობილებამ“, და თან ტრამპმაც ისე ამიშალა საღერღელი, რომ სიზარმაცე გვერდზე გადავდე და ამოვთქვი.

ბრიტანელი „მკაცრი გენიოსები“ ჩვენს ტელევიზიებს რომ ეცენ და, თავიანთ გაგებაში, დაასანქციერეს:

პირველი – საკუთარს რომ მიხედონ, არ უნდათ?

მეორე – მოვლენების შეფასების მიუღებელი მეთოდები: გამონაგონი და გადაჭარბება;

პიროვნების აპელაცია (ფასდებაა – ამითიც ვერ შეაბამ ჩვენს ჟურნალისტებს, ვერ გააღიმებ და შეიძლება, გიჩივლოს კიდეც, მეძალადებოდა, გაღიმებას შეფარული მუქარით მაიძულებდაო...

ერთგვარად შემეცოდა ტრამპი, სიტყვებით ილანძღება, ხოლო სიძულვილს რაც შეეხება, მხოლოდ თვალებიდან კი არ აფრქვევენ, რადიაციული ეფექტით ასხივებენ, რადგან საქართველოს გადარჩენა მათი სიკვდილის ტოლფასია...

ტრამპმა არ იცის, ჩვენებს არ იცნობს და სწორედ ამიტომ უნდა იყოს ბედნიერი. ჩვენ მრავალი მიმართულების ჟურნალისტები გვყავს, უპირველესად, უსამშობლო ჟურნალისტები, რომლებიც სისხლის სამართლის იმ მუხლით უნდა იყვნენ გასამართლებულები, რომელსაც სამშობლოს ღალატი ჰქვია, მაგრამ აბა, როგორ, როცა სამშობლოს მოღალატეობაზეც შერჩევითი სამართალი გვაქვს?!

ჩვენ „დიდი გეოგრაფი“ ჟურნალისტებიც გვყავს, რომლებმაც ყაზახეთი და უკრაინა საქართველოს მეხუთე და მეექვსე მეზობლად გამოგვიცხადეს და სულაც, გადაჯეგილი ვართ ფაქტობრივი, კარტოგრაფიული და ტოპონიმიკური შეცდომებით, მაგრამ უცოდინრობის მომწმენდების შტატიც გვაქვს – ეს, ძირითადად, გამოწვეულია ჟურნალისტების გადაღლილობით, ტერმინოლოგიის არასწორი თარგმანით ან სათანადო რედაქტორული გადამოწმების არარსებობითო, გვეტყვიან და უნდა დავიჯეროთ.

გადაღლა კი არა, უცოდინრობაა, დილა-საღამოს და წლობით რომ მიხსნის ჟურნალისტი რაღაცას „სახელმწიფოებრივი წყობილების“ შესახებ და ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს სიტყვებს: წყობა - წყობილება; მცნება – ცნება; აღქმა – აღთქმა; სწავლა – სწავლება; თარგმნა – თარგმანი; მოკვდავი – მომაკვდავი; კამპანია – კომპანია; თარგმნა - თარგმანი; სწავლა – სწავლება; პენალი – პენალტი, ადრესატი – ადრესანტი, დიპლომატი - დიპლომანტი; დაბალი – მდაბალი; ახლობელი – მახლობელი; დიპლომატი – დიპლომანტი; აფექტი - ეფექტი; მოწამე – მოწმე; მძლეოსნობა და ძალოსნობა და ა. შ.

ნეტავ, სი-ენ-ენის ჟურნალისტებსაც ისე განსაკუთრებით უყვართ ყველაფერი „ცივილიზებული“ და „ცივილური“, რომ, რა შემთხვევაში გამოიყენონ ეს სიტყვები, მნიშვნელობას არ ანიჭებენ?

ჩვენთან, კულტურულად და ეთიკის დაცვით, აღრევას უწოდებენ ენობრივ დომხალს, მაგრამ მე პირდაპირ ვარქმევ სახელს – ეს უცოდინრობისა და მენტალური პრობლემის ნაზავია. ადამიანმა, ამ შემთხვევაში, ქართული სალიტერატურო ენა მხოლოდ საქაქანოდ იცის, მაგრამ შესწავლა არ უნდა, რადგან ერცხვინება, ის ხომ „განათლებული დაიბადა“...

სწორედ ამიტომ ამბობენ ასეთი „განათლებულები“, მაგალითად:

„გულაღმა დავემხე“. გულაღმა კი არ დაემხო, გულაღმა დაეცა, ხოლო პირქვე – დაემხო;

„გული ვინუგეშე“ – გული კი არ ინუგეშა, არამედ, გული დაიმშვიდა და თავი ინუგეშა;

„გვერდზე დაიჭირა“ – გვერდზე კი არ დაიჭირა, გვერდზე გადადო და შორს – დაიჭირა;

„სტუმართმოყვარეობას გაუწევს“ – რას გაუწევს! სტუმართმოყვარობას გამოიჩენს, ხოლო მასპინძლობას – გაუწევს.

ტრამპმა შემაგულიანა, თორემ ყოველთვის ძალიან მეზარება კედელზე ცერცვის შეყრა, დუმილს ვამჯობინებ ხოლმე „კედლებთან“, მაგრამ ისე შემაწუხა „სახელმწიფოებრივმა წყობილებამ“, და თან ტრამპმაც ისე ამიშალა საღერღელი, რომ სიზარმაცე გვერდზე გადავდე და ამოვთქვი.

ბრიტანელი „მკაცრი გენიოსები“ ჩვენს ტელევიზიებს რომ ეცენ და, თავიანთ გაგებაში, დაასანქციერეს:

პირველი – საკუთარს რომ მიხედონ, არ უნდათ?

მეორე – მოვლენების შეფასების მიუღებელი მეთოდები: გამონაგონი და გადაჭარბება;

პიროვნების აპელაცია (ფასდებაა – ამითიც ვერ შეაბამ ჩვენს ჟურნალისტებს, ვერ გააღიმებ და შეიძლება, გიჩივლოს კიდეც, მეძალადებოდა, გაღიმებას შეფარული მუქარით მაიძულებდაო...

ერთგვარად შემეცოდა ტრამპი, სიტყვებით ილანძღება, ხოლო სიძულვილს რაც შეეხება, მხოლოდ თვალებიდან კი არ აფრქვევენ, რადიაციული ეფექტით ასხივებენ, რადგან საქართველოს გადარჩენა მათი სიკვდილის ტოლფასია...

ტრამპმა არ იცის, ჩვენებს არ იცნობს და სწორედ ამიტომ უნდა იყოს ბედნიერი. ჩვენ მრავალი მიმართულების ჟურნალისტები გვყავს, უპირველესად, უსამშობლო ჟურნალისტები, რომლებიც სისხლის სამართლის იმ მუხლით უნდა იყვნენ გასამართლებულები, რომელსაც სამშობლოს ღალატი ჰქვია, მაგრამ აბა, როგორ, როცა სამშობლოს მოღალატეობაზეც შერჩევითი სამართალი გვაქვს?!

ჩვენ „დიდი გეოგრაფი“ ჟურნალისტებიც გვყავს, რომლებმაც ყაზახეთი და უკრაინა საქართველოს მეხუთე და მეექვსე მეზობლად გამოგვიცხადეს და სულაც, გადაჯეგილი ვართ ფაქტობრივი, კარტოგრაფიული და ტოპონიმიკური შეცდომებით, მაგრამ უცოდინრობის მომწმენდების შტატიც გვაქვს – ეს, ძირითადად, გამოწვეულია ჟურნალისტების გადაღლილობით, ტერმინოლოგიის არასწორი თარგმანით ან სათანადო რედაქტორული გადამოწმების არარსებობითო, გვეტყვიან და უნდა დავიჯეროთ.

გადაღლა კი არა, უცოდინრობაა, დილა-საღამოს და წლობით რომ მიხსნის ჟურნალისტი რაღაცას „სახელმწიფოებრივი წყობილების“ შესახებ და ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს სიტყვებს: წყობა - წყობილება; მცნება – ცნება; აღქმა – აღთქმა; სწავლა – სწავლება; თარგმნა – თარგმანი; მოკვდავი – მომაკვდავი; კამპანია – კომპანია; თარგმნა - თარგმანი; სწავლა – სწავლება; პენალი – პენალტი, ადრესატი – ადრესანტი, დიპლომატი - დიპლომანტი; დაბალი – მდაბალი; ახლობელი – მახლობელი; დიპლომატი – დიპლომანტი; აფექტი - ეფექტი; მოწამე – მოწმე; მძლეოსნობა და ძალოსნობა და ა. შ.

ნეტავ, სი-ენ-ენის ჟურნალისტებსაც ისე განსაკუთრებით უყვართ ყველაფერი „ცივილიზებული“ და „ცივილური“, რომ, რა შემთხვევაში გამოიყენონ ეს სიტყვები, მნიშვნელობას არ ანიჭებენ?

ჩვენთან, კულტურულად და ეთიკის დაცვით, აღრევას უწოდებენ ენობრივ დომხალს, მაგრამ მე პირდაპირ ვარქმევ სახელს – ეს უცოდინრობისა და მენტალური პრობლემის ნაზავია. ადამიანმა, ამ შემთხვევაში, ქართული სალიტერატურო ენა მხოლოდ საქაქანოდ იცის, მაგრამ შესწავლა არ უნდა, რადგან ერცხვინება, ის ხომ „განათლებული დაიბადა“...

სწორედ ამიტომ ამბობენ ასეთი „განათლებულები“, მაგალითად:

„გულაღმა დავემხე“. გულაღმა კი არ დაემხო, გულაღმა დაეცა, ხოლო პირქვე – დაემხო;

„გული ვინუგეშე“ – გული კი არ ინუგეშა, არამედ, გული დაიმშვიდა და თავი ინუგეშა;

„გვერდზე დაიჭირა“ – გვერდზე კი არ დაიჭირა, გვერდზე გადადო და შორს – დაიჭირა;

„სტუმართმოყვარეობას გაუწევს“ – რას გაუწევს! სტუმართმოყვარობას გამოიჩენს, ხოლო მასპინძლობას – გაუწევს.

ტრამპმა შემაგულიანა, თორემ ყოველთვის ძალიან მეზარება კედელზე ცერცვის შეყრა, დუმილს ვამჯობინებ ხოლმე „კედლებთან“, მაგრამ ისე შემაწუხა „სახელმწიფოებრივმა წყობილებამ“, და თან ტრამპმაც ისე ამიშალა საღერღელი, რომ სიზარმაცე გვერდზე გადავდე და ამოვთქვი.

ბრიტანელი „მკაცრი გენიოსები“ ჩვენს ტელევიზიებს რომ ეცენ და, თავიანთ გაგებაში, დაასანქციერეს:

პირველი – საკუთარს რომ მიხედონ, არ უნდათ?

მეორე – მოვლენების შეფასების მიუღებელი მეთოდები: გამონაგონი და გადაჭარბება;

პიროვნების აპელაცია (ფასდებაა – ამითიც ვერ შეაბამ ჩვენს ჟურნალისტებს, ვერ გააღიმებ და შეიძლება, გიჩივლოს კიდეც, მეძალადებოდა, გაღიმებას შეფარული მუქარით მაიძულებდაო...

ერთგვარად შემეცოდა ტრამპი,

P.S. მეცოდება ეს კაცი, რამე ჯილდო მაინც მისცენ!

საბრალოს ისე დაუდგა საქმე, რომ საძაგელ ჟურნალისტებსღა შესჩივის: დედამიწაზე არაერთ უდიდეს ადამიანს უვლია, მაგრამ მხოლოდ ერთეულებმა მიიღეს ჩვენი უმაღლესი სამხედრო ჯილდო — კონგრესის ღირსების მედალი. მინდოდა, ის საკუთარი თავისთვის გადამეცა, მაგრამ მითხრეს, რომ ამის გაკეთება არ შემეძლოო.

დიახ, იმავე ჟურნალისტებსღა შესჩივის!

სხვათ აშორის, „ღა“ ნაწილაკი იმიტომ დაერთვის სიტყვას, რომ გააძლიეროს მისი შინაარსი და აღნიშნავს მოლაპარაკის დამოკიდებულებას სათქმელთან, მაგრამ ეს რომ არ იციან დიდად განსწავლულმა ჟურნალისტებმა (ან არაჟურნალისტებმა), ამ ნაწილაკს თვითონ ვერ იყენებენ და სხვისი ნათქვამიც ეხამუშებათ...

ზურა ოშხერელი

რას მოითხოვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა?

ახალი რეზოლუცია „საერთო გაზეთთან“ ანალიტიკოსმა ზაალ ანჯაფარიძემ შეაფასა.

2026 წლის 24 ივნისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო კრიტიკული რეზოლუცია „დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება საქართველოში“. დოკუმენტს, რომელიც საქართველოში დემოკრატიის განგრძობად უკუსვლაზე მიუთითებს, მხარი 83-მა დეპუტატმა დაუჭირა, 5 წინააღმდეგი იყო, ხოლო 4-მა თავი შეიკავა.

- ბატონო ზაალ რას მოითხოვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა?

- ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა კვლავ იმ იმ მოთხოვნების შესრულებას, გვაიძულებს, რაც წლების წინ შემოგვთავაზა. საქართველოს ხელისუფლების პასუხიდან ჩანს, რომ ისინი ამის გაკეთებას არ აპირებენ და მიდის ასეთი „მკლავჭიდი“. ამით კი საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები ზიანდება, რაც აშკარაა.

- უფრო კონკრეტულად ?

- ამ რეზოლუციით მოითხოვს წინა რეზოლუციებში მოთხოვნილი რეკომენდაციების შესრულებას. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ხელახალი არჩევნების ჩატარება, ასევე, ეგრეთ წოდებული პოლიტპატიმრების გათავისუფლება და, პრინციპში, ისეთი ცვლილებების გატარება, რომელიც „ოცნებას“ ჩააყენებს დასუსტებული სუბიექტის პოზიციაში, ხოლო ოპოზიციას გააძლიერებს.

- „ქართული ოცნება“ დათმობაზე წავა, თქვენ როგორ ფიქრობთ?

- ჯერჯერობით ამის ნიშნები არ იკვეთება.

ნაზი ბერიძე

№24-25 (846-847) 1.VII. 2026 წ.

ნაცების დრო წავიდა - რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ!

გვესაუბრება „საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე, პოლიტოლოგი ალი ბაბაევი:

— რადგან ოპოზიცია ახსენეთ, გკითხავთ, რა მომავალი აქვს ალიანსს და სააკაშვილის მიერ „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარედ ჟორჟოლიანის დასახელებას როგორ შეაფასებთ?

— ჩემი, როგორც პოლიტოლოგის პროგნოზით, „ნაცმოძრაობის“ დაშლის პროცესი ასეთი რეალური ჯერ არ ყოფილა. ან კი ვის დაშლაზე ვსაუბრობთ, ოპოზიცია ხომ ისედაც არ გვყავს. რა უნდა ელაპარაკო იმ ადამიანებს, რომელთაც ვერ გაუგიათ, რომ ქვეყნის ოპოზიცია კი არ უნდა იყვნენ, არამედ, ხელისუფლებას ჯანსაღი ოპონირება უნდა გაუწიონ, რაც მათ საერთოდ არ შეუძლიათ. ოპოზიცია პარლამენტში უნდა იყოს და კანონებზე მუშაობდეს. ესენი ქუჩაში დარბიან, აქციებს ატარებენ, ანგრევენ, წვავენ, უკვე ქვეყნის გადატრიალების ოთხი მცდელობაც მოასწრეს. დამნაშავეებზე გაიძახიან: გაათავისუფლეთ პოლიტპატიმრებიო. ამაში თავიანთი დასავლელი პატრონებიც დააჯერეს და ახლა მათ აღნიშნეს რეზოლუციაში: ქვეყანა პოლიტპატიმრებით არის გადტვირთულიო. სინდის-ნამუსი დაკარგული აქვთ, თორემ სისხლიანი 9-წლიანი რეჟიმის დროს ერთხელ მაინც ხომ უნდა წამოსცდენოდათ საყვედური იმაზე, რა დღეშიც სააკაშვილის მმართველობამ ქვეყანა ჩააგდო: პატიმრების რიცხოვნობით ევროპაში პირველ ადგილზე ვიყავით, ახალგაზრდებს პირდაპირ ქუჩაში ხოცავდნენ, პატიმრებს ციხეებში აუპატიურებდნენ, ბიზნესს ატერორებდნენ, ქვეყნის 20% გაყიდეს, სტრატეგიული ობიექტების 37%-ზე მეტი ოკუპანტს ჩააბარეს და კიდევ რამდენი ერთი ფაქტი ჩამოვთვალო. სად იყო მაშინ ევროპა?! რადიკალებს საქართველოს დაქუცმაცება და მისი დასავლეთის მონურ მორჩილებაში ყოფნა სურთ, რასაც ვერ ელირსებიან. ნაცების დრო წავიდა — რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ!

საბედნიეროდ, ქვეყანა ეროვნული გზით მიდის. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ მთელი საქართველოს ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, აზერბაიჯანელების დიდი ნაწილი უჭერს მხარს. აქ 300 ათასამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს და 90% სწორედ ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის მომხრეა. ევროპელები ხომ იმუქრებიან პერსონალური სანქციებით. ჰოდა მოვიდნენ და დამასანქცირონ როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, პირადად მე, ალი ბაბაევი, რომელიც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პოლიტსაბჭოს წევრი ვარ. ევროპაში ვეღარ ჩავალ?! ვის რაში სჭირდება ასეთი ევროპა?! მთავარია, საქართველო — ჩვენი ქვეყანა, წინ წავიდეს და განვითარდეს.

ვფიქრობ, სააკაშვილი „ნაცმოძრაობაზე“ იმდენად გაბრაზებულია, სწორედ ის იქნება პირველი ადამიანი, ვინც ამ პარტიას დაშლის. ხალხი როგორ უნდა ენდოს იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი გუნდის წევრებს არ ინდობენ?! მიშა ციხიდან დირიჟორობს, მაგრამ ნაცების ძველ და ახალ თაობას შორის კონსოლიდაცია არ არის, რაც პარტიის უპირობო დაშლას გამოიწვევს.

რაც შეეხება ალიანსს, აქ ყოველად ურეიტინგო ბოკერია, ვაშაძე და მსგავსნი არიან გაერთიანებულნი. ჩვენ ტელევიზიებით თუ სოცქსელებით ვხედავთ, რომ მათ ქუჩაში ადამიანები ხელსაც არ ართმევენ. ვინ არის ვაშაძე? — ადეიშვილის ერთ-ერთი მარიონეტი, რომელიც, რასაც უბრძანებდა, იმას აკეთებდა. ვაშაძემ განაცხადა: საჯარო რეესტრის შექმნაში დიდი წვლილი შევიტანეო (მინისტრის მოადგილე გახლდათ). იმ პერიოდში არაერთ ბიზნესმენს ბიზნესი ჩამოართვეს. პირადად მე, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესი“ უკანონოდ ჩამომართვეს. გავასაჩივრე და ყურადღებაც არ მომაქციეს, საქმე პირდაპირ ქვემო ქართლის მაშინდელი გუბერნატორის მოადგილეს რაულ უსუპოვს გადააბარეს, რომელიც ვაჟა ლილუაშვილის აგენტი იყო და აზერბაიჯანელ მოსახლეობას ატერორებდა. სამწუხაროდ, დღეს პორტირებული აგენტები „ქართულ ოცნებაშიც“ არიან, რომლებიც ინფორმაციებს გადასცემენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. აი, ასეთი ხალხი ქმნის ალიანსს, რომელთა პრიორიტეტი სამშობლოს გადარჩენა კი არ არის, არამედ უცხოეთიდან ბევრი ფულის მიღება, რათა მომხრეები მოისყიდონ და ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. მადლობა ღმერთს, ხელისუფლება სწორ პოლიტიკურ კურსს განაგრძობს, მათ შორის, სამეზობლო პოლიტიკის კუთხით. ეს ყველაფერი უფრო ეფექტური იქნება, როცა სამეზობლოში ირანის კრიზისი დასრულდება. საქართველოს ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს, რომ ყველას ვჭირდებით. ქვეყნის განვითარებისთვის ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს.

— ბატონო ალი, 31 ივლისს ნაცების და მისი სატელიტი პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა იწურება. რა მოლოდინი გაქვთ, აღსრულდება ხალხისთვის მიცემული პირობა?

— ვუერთდები საქართველოს ერთგული მოსახლეობის მოთხოვნას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენს ელოდება. ნაცებმა ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანა დაანგრიეს, დაატერორეს, გააუბედურეს, რისთვისაც მკაცრად უნდა დაისაჯონ. დიახ, „ნაცმოძრაობა“ — ეს შავბნელი ორგანიზაცია უნდა გაუქმდეს. აქვე, მხარს ვუჭერ ხელისუფლების სადამსჯელო პოლიტიკას, ბრძოლას კრიმინალური ავტორიტეტების, ნარკორეალიზატორების, კონტრაბანდის წინააღმდეგ. რკინიგზაში, ჯანდაცვასა თუ სხვა სისტემებში არაერთი კორუფციული სქემა გამოვლინდა. ერთი ამბავია ატეხილი პოლიციელების დანაშაულზე. ოჯახშიც კი არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი. რა თქმა უნდა, პოლიციელებსაც აქვთ გადაცდომები. ბუნებრივია, ყველა დამნაშავემ კანონი წინაშე პასუხი უნდა აგოს.

ბოლოს მინდა, ყურადღება ერთ საკითხზე გავამახვილი: სამწუხაროდ, ქვეყანაში ბევრი ანტიქართველი გვყავს, რომელიც აცხადებს, თითქოს საქართველოში ტერორისტებს ამზადებენ. ის ადამიანები, ვინც ამას ამბობს, საკუთარი ქვეყნის მოყვარულნი კი არა, მტრები არიან. ვფიქრობ, ისინი, ვინც აქ ტერორისტების გაზრდაზე საუბრობს, საქართველოს არ იცნობენ. აქ მუსულმანი ტერორისტები არასდროს ყოფილან, მათ შორის, არც აზერბაიჯანელები. როცა საქართველოს სჭირდება, ჩვენ ყოველთვის ქართველი ხალხის გვერდით ვართ. მათ ვურჩევ, საქართველოს ისტორია წაიკითხონ და რეალურად გაიგონ, რა არის რელიგიური დღესასწაული და როგორ უნდა სცენ ერთმანეთს პატივი. საქართველოში ყველა ეთნიკურ უმცირესობას თავისი უფლებები აქვს. ისინი თავიანთ ენას, კულტურას, ტრადიციებს ინარჩუნებენ. ჩვენ მუსლიმები შიიტებიც და სუნიტებიც (სააკაშვილმა თავისი მმართველობის პერიოდში ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა) ერთ მეჩეთში ვლოცულობთ, ყველა ღონისძიებას როგორც ქართულს, ისე ეთნიკური უმცირესობებისას, ერთად ვზეიმობდით. ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი უწმიდესის, ილია მეორეს გარდაცვალების დროს ყველა რელიგიური დღესასწაული თუ ღონისძიება გავაჩერეთ, რადგან ქვეყნის მამა — უწმიდესი გარდაიცვალა. ამიტომ თითს ნურავინ გვიქნევს — გვაჩვენონ, სად, რა მისამართზეა ის უნივერსიტეტი, სადაც ტერორისტებს ზრდიან. ჩვენ, ჩვენს სამშობლოს ბოლომდე დავიცავთ. ჩვენ მხოლოდ მშვიდობა, სტაბილურობა, ქვეყნის განვითარება გვინდა და ამისთვის ქართველ ხალხს ყოველთვის გვერდით დავუდგებით.

სამწუხაროდ, ბოლო დროს გააქტიურდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის დაძაბვისკენ ისწრაფვიან. ეს პოლიტიკოსები, თავის დროზე, კრემლის კაბინეტებში დარბოდნენ და ოკუპირებულ 20%-ზე სიტყვას არ ძრავდნენ. ახლა კი, რატომღაც, დავით გარეჯი გაახსენდათ. ამ თემაზე თუ რაიმეს გარკვევა სურთ, სააკაშვილს და მის გუნდს მიმართონ, რომლებიც ილჰამ ალიევთან დავით გარეჯის გაყოფაზე შეთანხმდნენ. გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კუთვნილებაა. ის ისტორიული მნიშვნელობის ძეგლია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. მეორე მხრივ, საინტერესოა, ეს ვაიპოლიტიკოსები, რომლებიც მარტო პოლიტიკური ქულების დაწერაზე არიან მომართული, იმაზე რატომ არ იღებენ ხმას, არანაკლებ მნიშვნელოვანი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები სომხეთის ტერიტორიაზე რომ მდებარეობს. სად იყვნენ მიშას 9-წლიანი მმართველობის დროს ეს ხალხი, გასუსულები რომ იყვნენ?! ან რომ გაჰყვირიან: საქართველოს ცენტრში აზერბაიჯანულ კულტურულ ძეგლს არ აგაშენებინებთო, საქართველოში 300 ათასი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ცხოვრობს და რატომ არ შეიძლება მათ აქ მუზეუმი ან კულტურის ცენტრი ჰქონდეთ?! ეს პროვოკაციები იმიტომ ხდება, რომ საქართველოს ერთ-ერთ სანდო პარტნიორსა და მეგობარ აზერბაიჯანთან, რომელიც აქ დიდ ინვესტიციებს დებს, შუღლი ჩამოაგდონ. ამ ხალხმა სინდის-ნამუსი საერთოდ დაკარგა. ისიც ვერ გაურჩევიათ, ივანიშვილს ჰეიდარ ალიევი შეხვდა თუ ილჰამი. როგორც ჩანს, დაკვეთა მიიღეს, რომ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაძაბულობა დაიწყოს. კუკავებს, ნათელაშვილებსა და სხვებს მაინც არაფერი გამოუვათ. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოუგვარებელი საკითხი არ არსებობს. ამის შესახებ, თავად ილჰამ ალიევმა განაცხადა. ჩვენს მეგობრობას პროვოკაციებით ვერ შეარყევენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც საბოლოოდ ისტორიაში ქვეყნის გამყიდველებისა და დამზიანებლების სახელით შევლენ. ღალატის მეტი რომ არაფერი ეხერხებათ, ამიტომაც იღებენ არჩევნებში 0,1%-ს. მათი რეიტინგი ნულია მიუხედავად იმისა, რომ წლებია, პარტიები აქვთ. ამ ადამიანებს უფლება არ აქვთ, ასე ილაპარაკონ.

თამარ შველიძე

ევროკავშირის ნაცარქექია ჩინოვნიკების მიერ მიღებული 60 რეზოლუცია

ევროპა არ ისვენებს... უფრო სწორად, ევროჩინოვნიკები არ ისვენებენ, ეგენი ბოლო წლებში ისე არიან ატეხილები, აუცილებლად გადაეყრებიან რამე ფარცაგს დონალდ ტრამპის სახით და ძალიან ცუდად დაასრულებენ „მოღვაწეობას“. რატომ დონალდ ტრამპის სახით? ევროკომისიის წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოძიება საიდუმლო ჯგუფური ჩატის გარშემო, რომელშიც ურსულა ფონ დერ ლაიენი, ვოლოდიმირ ზელენსკი და რამდენიმე ევროპელი ლიდერი მონაწილეობდნენ და სადაც განიხილებოდა, როგორ უნდა მოქცეოდნენ დონალდ ტრამპს. ჯგუფში შედიოდნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, გერმანიის კანცლერი ფრიდრიხ მერცი და იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯა მელონი.

„Politico“-მ ამის შესახებ პირველად იანვარში დაწერა. წყარომ გაამჟღავნა, რომ ლიდერები ერთმანეთს წერდნენ ყოველთვის, როცა ტრამპი რაიმე საზიანოს გააკეთებდა ან იტყოდა. ჯგუფი, რომელიც აღწერილია როგორც „არაფორმალური, მაგრამ აქტიური“, მას შემდეგ შეიქმნა, რაც ევროპელი ლიდერები ზელენსკისთან ერთად შარშან აგვისტოში თეთრ სახლს ეწვივნენ... უფრო სწორად, როცა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში დაიბარა და მეორეკლასელებივით კედელთან ააყუდა. ევროპელი ლიდერები თავდაპირველად ფრთხილობდნენ, არ გაებრაზებინათ ტრამპი და მისი რისხვა არ გამოეწვიათ, თუმცა შემდეგ უფრო გაბედულები გახდნენ - მაკრონი და მერცი ხმამაღლა შეეწინააღმდეგნენ ირანში ომის დაწყებას.

მაშინ, როცა ევროკავშირელ ბობოლებს შიგნით აქვთ პრობლემები და ერთმანეთს აშშ-ის წინააღმდეგ აქეზებენ, მაინც იცლიან საქართველოსთვის, მაინც იღებენ „ტუფტა“ რეზოლუციებს და მოთქვამენ, რომ თურმე „ქართულმა ოცნებამ“ არანაირი ნაბიჯი არ გადადგა თავისი ანტიდემოკრატიული და ანტიევროპული კურსის შეცვლის მიზნით. რატომ აღარ მობეზრდათ 60-ჯერ ერთი და იგივე შინაარსის რეზოლუციის მიღება, რასაც ბოლო არ უჩანს? გასაგებია, მესმის, 750 ევროდეპუტატი მსუყე ხელფასს ამაში იღებს, მაგრამ სისულელესაც ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული? ტექსტები ნახეთ, ასეთ რამეს კომუნისტებიც არ კადრულობდნენ. ამათი სტილი ეგეთია - რთული, ბუნდოვანი, გაუგებარი და ტრაფარეტული. თუმცა, ვეცდები, ორიოდ სიტყვით აგიხსნათ, რა უნდათ და რას ითხოვენ: მოკლედ, ისაო, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოვუწოდებთ, საქართველოს ხელისუფლებას არ დაელაპარაკოთო, უნდა შევიმუშაოთ ერთიანი გეგმა და შევკრათ პირიო. სამაგიეროდ, უნდა ველაპარაკოთ სამოქალაქო საზოგადოებასო, დამოუკიდებელ მედიასო, დემოკრატიული პრინციპების ერთგულ პოლიტიკურ ძალებსო. ერთ რეზოლუციაში ამტკიცებენ, საქართველოში დამოუკიდებელი მედია არ არსებობსო, მეორეში ამბობენ - დამოუკიდებელ მედიას უნდა ველაპარაკოთო. ჰო, კიდევ იმათ უნდა ველაპარაკოთ, აკადემიურ ინსტიტუტებსო. რა სისულელეა? რომელი აკადემიური ინსტიტუტები? ვინ მიაჩნიათ აკადემიურ ინსტიტუტად? გაუგებარია, სრულიად გაუგებარი!

ევროპარლამენტი ღრმად შეუშფოთებია იმასაც, რომ საქართველოს პარლამენტმა 2025 წლის დეკემბერში მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოქალაქეებს უცხოეთიდან ხმის მიცემა ეკრძალებათ. სხვა ქვეყნებში (თუნდაც სომხეთში) რომ იგივე კანონები მოქმედებს, ეს დემოკრატიული პროცესია, საქართველოში რომ მოქმედებს, ეს ტირანიაა. რას დასაშვებია სხვებისთვის, ის არ არის დასაშვები საქართველოსთვის.

ევროპარლამენტი ასევე, გმობს მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ მიერ პოლიტიკური ოპონენტების დევნის მცდელობებს, მათ შორის, უკანონო დაკავებების, მუქარისა და ფიზიკური თავდასხმების გზით. ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკური პატიმრების არსებობა საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებთან შეუთავსებელია.

ანგარიშში ყოფილ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილზეც არის საუბარი და აღნიშნულია, რომ მისი დაპატიმრება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს იმასთან დაკავშირებით, აკმაყოფილებდა თუ არა სამართალწარმოება სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებს.

ირაკლი ღარიბაშვილი უკვე ორ რეზოლუციაში ახსენეს. თან მაშინ, როცა არავის მიუმართავს და პრეტენზია არავის გამოუთქვამს, პირიქით, ღარიბაშვილის ოჯახი აცხადებს, რომ მას არანაირი დაცვა და გამოსარჩლება არ სჭირდება, მით უმეტეს ევროსტრუქტურებიდან. რომელ სასამართლო სტანდარტებზეა საუბარი, როცა ღარიბაშვილმა თვითონ აღიარა დანაშაული და არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს? ეგ კი არა, ევროპარლამენტი ისევ შეშფოთებულია მიხეილ სააკაშვილის გამო და ითხოვს, გაეწიოს სამედიცინო დახმარება საზღვარგარეთ. ეტყობა, ამათ არ იციან (ან იციან და თავებს იბრიყვებენ), რომ სააკაშვილი „დილეგში“ თავს კარგად გრძნობს და უახლოეს ხანში რევოლუციის „მოხდენასაც“ კი აპირებს.

ევროპარლამენტი მწუხარებას გამოთქვამს დეოლიგარქიზაციის თვალსაზრისით პროგრესის ნაკლებობის გამო და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ჩამოაყალიბოს სისტემური მიდგომა ვენეციის კომისიის შესაბამისი რეკომენდაციების მიხედვით. ამათ მაინც ბიძინა ივანიშვილთან აქვთ საქმე, კაი მსუყე „სტიპენდიები“ არ დაუნიშნა 2012 წლის მერე, რაც ჰქონდათ, ისიც გაუუქმათ და ამიტომ არიან აჭრილები, თორემ შეიძლება, ერთმა ორგანიზაციამ ერთი ხელისუფლების წინააღმდეგ 60 რეზოლუცია მიიღოს და დღეში სამ განცხადებას აკეთებდეს? ეს წარმოუდგენელია, ეს გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი.

ევროპარლამენტი მოუწოდებს ევროკავშირს, გაყინოს ივანიშვილის აქტივები და ითანამშრომლოს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა იურისდიქციებთან, კერძოდ, გაერთიანებულ სამეფოსთან და შეერთებულ შტატებთან.

ესე იგი, ევროპარლამენტის 436 წევრი, რომელმაც არ იცის, საქართველო რუკაზე სად არის, მოუწოდებს ევროკავშირს, გაყინოს ბიძინა ივანიშვილის აქტივები. რაც გაყინეს შვეიცარიის ბანკში, არ ეყოთ, მთლიანად უნდათ ხელში ჩაგდება „დემოკრატ“ ყაჩაღებს. 145-მა ევროპარლამენტარმა უარი თქვა, წინაალმდეგი წავიდა, კიდევ კარგი, ამდენ უსაქმურებს შორის ცოტა ნორმალურებიც არიან.

ევროპარლამენტი მიესალმება ევროკომისიის გადაწყვეტილებას, შეაჩეროს უვიზო მიმოსვლა საქართველოს დიპლომატიური, სამსახურებრივი და ოფიციალური პასპორტების მფლობელებისთვის. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, აღნიშნული კატეგორიის ვიზის განმცხადებლების მიმართ ჩაატარონ საფუძვლიანი შემოწმება, მათ შორის, გასაუბრებითა და დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნით, ხოლო წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში, უარი უთხრან ვიზის გაცემაზე. ხედავთ, სადამდე მივიდნენ და როგორ დაწვრილმანდნენ? ახლა ერთადერთი „ბერკეტიღა“ დარჩათ - უვიზო მიმოსვლის გაუქმება. მართალია, ამით არ დაკმაყოფილდებიან და კიდევ მოიფიქრებენ რაღაც სისულელეებს, მაგრამ მათი აზრით, ეს არის „ჯოკერი“, რამაც უნდა გამოიწვიოს რევოლუცია. ერთი ეგ არი, რევოლუციის მომხდენი არ არსებობს საქართველოში. მიხეილ სააკაშვილი კი იხვეწება, გამომიშვით ციხიდან, ეგრევე მოვახდენ რევოლუციასო, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რამდენი ადამიანი დახვდა, როცა სანზონაში, ჩემ მეზობლად შემოიპარა, არც ეგ არის რევოლუციის მომხდენი, ფაქტობრივად, წარსული ფლავია. ერთხელ, პრეზიდენტობის პერიოდში დაიტრაბახა, მე რომ ოპოზიციაში ვიყო, ჩემს ხელისუფლებას ერთ თვეში დავამხობდიო. ჰოდა, აერია რამსები, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაც ისეთივე იოლი დასამხობი ეგონა.

კიდევ რა არის ნათქვამი ანგარიშში? აქ ბევრი სისულელე წერია, მაგრამ ერთი მაინც უნდა გამოვყოთ, თურმე ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზის მიტოვების შემდეგ „ქართული ოცნება“ ჩინეთთან, რუსეთთან და ირანთან თანამშრომლობისკენ სტრატეგიულ კურსს იღებს. ეს უკვე აშშ-ელი კონგრესმენის, ჯო უილსონის „პლასტინკიდანაა“, თვითონ ჩინეთს ეტრფიან, რუსეთს ევაჭრებიან, ირანს უკვე ეკურკურებიან და ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომელიმე მათგანს გამარჯობა ვუთხრათ.

ახლა კი ისეთი რამ, რასაც არ დაიჯერებთ, მაგრამ ფაქტია: „ევროპარლამენტი შეშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ავტორიტარული ძალების მზარდი გავლენის შესახებ სანდო დასკვნების განხილვის ნაცვლად, გამოძიება დაიწყო მსგავსი დასკვნების ავტორების, მათ შორის ჰადსონის ინსტიტუტის მკვლევარის, გიორგი კანდელაკისა და თინათინ ხიდაშელის წინააღმდეგ“.

თუ აგენტ კანდელაკზე დაწერეს, ჰადსონის ინსტიტუტის მკვლევარიაო, თინა ხიდაშელზე არაფერი მიუთითეს, ხომ არ დაწერდნენ, ტაივანის აგენტიაო? არა, გეთაყვა, მაგას რანაირად იტყვიან?

მოკლედ, რაღა ვთქვა და რანაირად მოვიხსენიო ევროკავშირელი გაიძვერები, აღარ ვიცი... მოდი, უნგრეთის პრემიერ-მინისტრს, პეტერ მადიარს დავეთანხმოთ და ტაშიც დავუკრათ - მან ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს ქურდი, მამაძაღლი და თაღლითი ეძახა. ესე იგი, თუ ურსულა ქურდი, მამაძაღლი და თაღლითია, მისი ხელქვეითები რა გამოდიან? უფრო მეტი მამაძაღლები, ხომ? ისე, იმათზე უფრო ვკაიფობ, ზოგიერთს მადიარი ორბანზე რბილი და დამთმობი რომ ეგონა. უარესია ეგ კაცი, უარესი, ოღონდ ევროკავშირელი მამაძაღლებისთვის.

ისე, არ გამოვრიცხავ, სანამ ეს წერილი დაიბეჭდება, ევროპარლამენტმა კიდევ ერთი რეზოლუციის მიღება მოასწროს. ვნახოთ, რა პრობლემაა?

გელა ზედელაშვილი

სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენამდე, დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების სფეროში მოვიპოვეთ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი:

— ბატონო ჯონი, თქვენ ხუთი წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობდით. დღევანდელი გადმოსახედიდან, რა შეცდომები დაუშვა ჩვენმა ქვეყანამ კონსტიტუციური განვითარების გზაზე, რა აკლია დღეს სამართლებრივ სახელმწიფოს საქართველოში?

— ქვეყანამ კონსტიტუციური განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1995 წელს საკონსტიტუციო კომისიის წევრი ვიყავი და უცხოელ ექსპერტებთან, ასევე, ვენეცის კომისიასთან ერთად პროექტებს განვიხილავდით. სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელიც 1995 წლის კონსტიტუციითი იყო ჩამოყალიბებული, მრავალჯერ შეიცვალა. საქართველომ სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა ფორმა გამოსცადა - ყველაზე ხანგრძლივად მონარქიული სახელმწიფო, შემდეგ, 1995 წლის კონსტიტუციით, საპრეზიდენტო რესპუბლიკად ჩამოვყალიბდით, „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში ეს ფორმა ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობით შეიცვალა, 2010 წლიდან კი, საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადავედით, რადგან მაშინდელი მმართველი პოლიტიკური ძალის მიზანი, ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენა იყო. იმ პერიოდში პრეზიდენტი მხოლოდ ორი ვადით ირჩეოდა, პრემიერ-მინისტრად ყოფნა კი, დროში შეზღუდული არ იყო. ამიტომ სააკაშვილის ხელისუფლებამ სათავისო მოდელი შექმნა. თუმცა, საპარლამენტო რესპუბლიკა, სრულყოფილად არ იყო რეგლამენტირებული. ამიტომ 2017-2018 წლებში, რეფორმა გავატარეთ და შედეგად, კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავედით. ასე რომ, მმართველობის ყველა ფორმა გამოვცადეთ.

ჩვენს წინაპრებს საპარლამენტო რესპუბლიკა 1918-21 წლებში ჰქონდათ და საბოლოოდ, სწორედ ამ მოდელს დავუბრუნდით. 2017-18 წლებში საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობის პერიოდში, იურისტებს შესაძლებლობა მოგვეცა, მმართველობის დახვეწილი საკონსტიტიუციო მოდელი შეგვემუშავებინა. კომისიამ ჩემი რამდენიმე წინადადება გაიზიარა. მაგალითად, 1918-21 წლებში წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკა იყო, თუმცა პრეზიდენტის ინსტიტუტი არ არსებობდა. აქ, ეს ინსტიტუტი შემოვიღეთ სუსტი პრეზიდენტის სახით, რომელსაც პარლამენტი ირჩევს. დღევანდელი პრეზიდენტის არჩევა სწორედ ამ წესით მოხდა. მას არანაირი მნიშვნელოვანი აღმასრულებელი ფუნქცია არ გააჩნია, იგი გარკვეულად არბიტრის როლს ასრულებს, რაც საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელია. სამაგიეროდ, საკმაოდ ძლიერი მთავრობა და პარლამენტი მივიღეთ.

ლეგიტიმაციის თვალსაზრისით თუ გამოვალთ - ხალხი პარლამენტს ირჩევს და სწორედ ის ქმნის მთავრობას. აი, ასეთი მოდელი ჩამოვაყალიბეთ. ჩემი წინადადება იყო, ე.წ. რაციონალიზებული პარლამენტარიზმი გამოგვეყენებინა, რაც ევროპაში დიდი ხანია დანერგილია. მაგალითად გერმანიაში რაციონალიზებული პარლამენტარიზმის პრინციპი უნდობლობის კონსტრუქციულ მოდელში გამოიხატება, რომლის თანახმად, მოქმედ კანცლერს იმით უცხადებენ უნდობლობას, რომ ახალ კანცლერს ირჩევენ. ამით არ ხდება წყვეტა მთავრობის საქმიანობაში. ადრე ჯერ მთავრობას გადააყენებდნენ და შემდეგ დაიწყებდნენ ფიქრს ახალი მთავრობის შესაქმნელად, რაც ზოგჯერ თვეების განმავლობაში ჭიანურდებოდა. ასე რომ, წინადადება რაციონალიზებული პარლამენტარიზმის შესახებ, რაც მთავრობის სტაბილურობის შენარჩუნებისკენ არის მიმართული, ჩვენს კონსტიტუციაში უკვე გათვალისწინებულია.

1993-1995 წლებში, როცა კონსტიტუციაზე ვმუშაობდით, მაშინ დღეს არსებული გენდერული პრობლემები არავის აწუხებდა. ამიტომ კონსტიტუციაში ჩავწერეთ, რომ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას, თუმცა ეს ახლა სხვაგვარად იქნა გაგებული. ამიტომ 2017 წელს გამოვედი ინიციატივით, შეგვეტანა ცვლილება და დაგვეწერა, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც მეუღლეთა თანასწორობას ეფუძნება. ჩემი წინადადება გაიაზარეს და დღეს კონსტიტუციაში სწორედ ასეთი ჩანაწერი გვაქვს.

ასევე, ჩემი წინადადება იყო, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე უცხოელი არ ყოფილიყო, რასაც კიდევაც მივაღწიე. თუმცა სამწუხაროდ, პრაქტიკაში ასეთ ხრიკს მიმართავენ - მიწას დანიშნულებას უცვლიან, რაც თაღლითობაა. კონსტიტუციაში აღნიშნული ჩანაწერი მძლავრი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ დავიცვათ ყველაზე დიდი ეროვნული სიმდიდრე, რაც გაგვაჩნია - მიწა, მამული.

— როგორც ვიცით, თქვენ დიდხანს იბრძოლეთ, რათა სახელმწიფო ენის შესახებ ორგანული კანონი მიგეღოთ.

— დიახ, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღებას 17 წელი დასჭირდა. 2000 წელს კანონპროექტი პირველი მოსმენით განხილული იყო, მაგრამ ხელისუფლება რომ შეიცვალა, 2004 წელს კანონპროექტი უკან გაიწვიეს და მის მისაღებად ბრძოლა თავიდან დაგვჭირდა. საბოლოოდ, კანონი მივიღეთ, თუმცა შეკვეცილი სახით - სამწუხაროდ, ენის ნორმების დარღვევაზე ეფექტური ღონისძიებები ვერ ტარდება. მაღაზიები უცხოური წარწერებითაა გადავსებული, რაც დროულადაა მისახედი. დიახ, კონსტიტუციის რეფორმის დროს, 2017-2018 წლებში მოვითხოვე, რომ სახელმწიფო ენის შესახებ არა ჩვეულებრივი, არამედ ორგანული კანონი მიგვეღო. კონსტიტუციაში სწორედ ასე ჩაიწერა, რომ ენის შესახებ ორგანული კანონი უნდა იქნას მიღებული. ორგანულ კანონს ვერ გადააბიჯებ, მას გარკვეული დამცავი ფუნქცია აქვს.

თუმცა, თავიდანვე ჩემი მთავარი პრეტენზია შემდეგი საკითხისკენ იყო მიმართული - თანახმა არ ვიყავი, კონსტიტუცია ისე მიგვეღო, რომ სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის შესახებ კანონი არ მიგვეღო. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის საკითხი არსებითია. აჭარის სტატუსი კონსტიტუციური კანონით არის განსაზღვრული. აფხაზეთის შესახებ კი კონსტიტუციური კანონი დღემდე არ არის მიღებული.

აფხაზეთში მოსახლეობის 45%-მდე ეთნიკური ქართველი იყო, თავად აფხაზები კი – 18%-ს შეადგენდნენ. ჩემი წინადადება იყო აფხაზეთთან დაკავშირებით კანონი მიგვეღო და თვალსაჩინო გაგვეხადა, მათ რას ვთავაზობდით, როგორ ტერიტორიულ მოწყობას?! ამიტომ, სასურველი იყო, აფხაზეთის შესახებ კონსტიტუციურ კანონს თუ მივიღებდით, ფართო ავტონომიით და უფლებამოსილებით. ეს კანონი აღსრულდებოდა და ამოქმედდებოდა მას მერე, რაც იურისდიქციას აღვადგენდით. ჩემი წინადადების არმიღების მოტივი ასეთი იყო - ეს მაინც არ შესრულდებაო. მერე, რა? ჩვენ კონსტიტუციის დონეზე უნდა მოვაწესრიგოთ ეს საკითხი. როცა რეგიონებს განსხვავებული სტატუსი აქვთ, ეს ასიმეტრიული რეგიონალიზმია. აფხაზეთის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებით კონსტიტუცია დასრულებულ სახეს მიიღებდა.



1995 წლის კონსტიტუციამ რეფორმირების პროცესში ბევრი ცვლილება განიცადა, მხოლოდ ზოგადი გადასინჯვა სამჯერ განხორციელდა. იცით, ვინ აწერს დღემდე ხელს კონსტიტუციას? - ედუარდ შევარდნაძე, როგორც სახელმწიფოს მეთაური. ეს ინსტიტუტი უკვე აღარ არსებობს. კონსტიტუცია მთლიანად გადამუშავდა, სულიად განსხვავებული ტექსტია იმისგან, რასაც შევარდნაძე ხელს აწერდა. წარმოგიდგენიათ, ხელმოწერა კონსტიტუციაზე იმ სამყაროდან არის. 1995 წლის მერე, 2017 წელს რიგით მეორე ახალი კონსტიტუცია უნდა მიგვეღო.

საერთაშორისო ურთიერთობისა და სამართლის სპეციალისტი ლევან ალექსიძე ჩემი მასწავლებელი იყო. აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მასთან მჭიდროდ ვთანამშრომლობდი. აფხაზებთან გარკვეულ კომპრომისზე წასვლა იყო საჭირო. ამიტომ გამსახურდიას დროს სოხუმში ალექსიძე და კიდევ რამდენიმე იურისტი ჩავიდნენ. აფხაზეთის კონსტიტუციაში შემდეგი ჩანაწერი გაკეთდა: აფხაზი მოსახლეობა ირჩვდა 28 დეპუტატს, ქართველები 26-ს და ყველა დანარჩენი - 11-ს. აფხაზები და ქართველები თუ ვერ შეთანხმდებოდნენ, ვერც მთავრობა დაკომპლექტდებოდა. მაგალითად, აფხაზეთის სტატუსის საკითხი ქართულ და აფხაზურ დეპუტაციასთან უნდა შეთანხმებულიყო. რა გამოდიოდა? აფხაზეთში, ადგილობრივი ქართული მოსახლეობა 45%-ს შეადგენდა და ის 26 დეპუტატს ირჩევდა, ხოლო აფხაზები 18% იყვნენ და 28 დეპუტატს ირჩევდნენ, რაც ბევრმა არასამართლიანად მიიჩნია. გამსახურდიამ ამ საკითხთან დაკავშირებით სოხუმში გამაგზავნა. როგორც იურისტს, არც მე მიმაჩნდა ეს საკითხი ბოლომდე გამართულად. ლევან ალექსიძემ მითხრა: ეს კომპრომისული წინადადებაა. მე კი მივუგე, რომ ყოველივე ეს ვნებათაღელვას გამოიწვევდა, რადგანაც დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი და ასე, პირიქით, უმცირესობის მმართველობას დავაკანონებდით. სოხუმიდან რომ დავბრუნდი, ეს საკითხი პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიტანე, თუმცა ეს იდეა არ მოიწონეს. შემდეგ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს და ამ წინადადებაზე თანხმობა განაცხადეს. დღევანდელი გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომ ეს სწორი იყო, რადგან ამით კონფლიქტის თავიდან არიდება ხდებოდა და ერთგვარი იძულებაც იყო, ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთთან ეთანამშრომლათ. მართალია, ვიმეორებ, იურიდიულად ეს გამართლებული არ იყო. თუმცა ამ გადაწყვეტილებას დავთანხმდით, რითაც იქ სიმშვიდე, სტაბილურობა შენარჩუნდა. მაგრამ როგორც კი აქ ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს და კანონიერად არჩეული ხელისუფლება დაამხეს, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა დაიწყეს, რაც, ბუნებრივია, ვერ იმუშავებდა. შედეგად აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობა მაშინვე გაძლიერდა, ცენტრალური ხელისუფლება ვეღარაფერს აკონტროლებდა, რაც აფხაზებმა სათავისოდ გამოიყენეს და არალეგიტიმურად, მაგრამ თავიანთი მმართველობის სისტემა შექმნეს.

ესაუბრა
თამარ შველიძე
(დასასრული იქნება)

საუკუნოვან ცახცზე

სასალისო თქვრები

ბებიაჩემის, თავად გიგო მზეიძის ასულის ნამზვითი ტახტი მაქვს ისეთი, გინდ ზემოდან დაწვე, გინდ შიგ ჩაწვე, მაინც გემრიელად დაიძინებ. ტახტია იმგვარი, რომ დაჯდები, თითქოს ფიცარზე ზიხარ და, რომ წვები, გგონია, გედის ბუმბულის ლეიბზე მივსვენდი.

ნამზითვ ტახტზე ნამზითვი მუთაქები ეწყო, ქვეშ კი ძვირფასი ნამზვითი ფოჩებიანი ხალიჩა იყო გაფენილი, სპარსული, რომელიც ჯერ კიდევ 1978 წელს შევიწირე. რა ჯანდაბად მინდოდა მჟავა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა – ქიმიის ლაბორატორიული ცდები მხიბლავდა. სკოლიდან მჟავა მოვიპარე სინჯარით, წამოვიღე სახლში და ვინმეს რომ არ ენახა, ტახტზე, მუთაქის ქვეშ ამოვდე და დამავიწყდა. ერთ დილას ბებიაჩემის შეცხადება გავიგონე, რაღაცას შეუჭამია ხალიჩაო. გამახსენდა ჩემი სინჯარა, შევვარდი და რას ვხედავ – ხალიჩის მთელი შუაგული გამქრალია უკვალოდ. მაშინ ჩამოარაკრაკა ბებიაჩემა ხალიჩის წარმომავლობა და ღირსებები, მაგრამ შეშინებულს არაფერი მახსოვს. მჟავამ ამოჭამა ხალიჩა და ბებიაჩემიც რომ არ დამწვარიყო, ავღმუვლდი, ხელი არ მოკიდო, მჟავაა, დაიწვები-მეთქი. წამში გადავქექე ტვინში ჩემი მწირი ცოდნა ქიმიაში და ლოგიკა ამომუშავდა – მჟავას საწინააღმდეგო ტუტეა,

ტუტე სოდაა. მოვარბენინე სოდა და დავაყარე. ვინაიდან მკაცრი დედა მყავდა და ჩემი დასჯის გამო ბებიაჩემს მუდმივი პრეტენზიები ჰქონდა, ბებო დავარიგე, დედაჩემს არ უთხრა, თორემ დამსჯის-მეთქი. როდესაც დედაჩემმა აღმოაჩინა, რომ ხალიჩა აღარ იყო, ბებიაჩემმა მოახსენა, სარდაფში ჩავიტანეო. მოკლედ, ხალიჩის ამოჭმა თაგვს დაბრალდა.

გავიდა წლები და იდო ხალიჩა სარდაფში. ერთ დღეს გერმანული ნაგაზის მეტისი ლეკვი მაჩუქეს და დედაჩემს გაახსენდა ის ხალიჩა, ძაღლს მაინც დაუფინე, რას ინახავო. ასე დავაბრძანე ძაღლი ძვირფასი სპარსული ხალიჩის ნაკუწზე.

გავიხედე და ისეთი მეზობელი შემოვიდა, გამარჯობას ხან რომ მეტყოდა და ხან არა. ხომ არ მიკბენს „როკი“, ქვეშ რა უგია, იმის ნახვა და ხელის მოკიდება მინდაო. გიკბენს, აბა, რას იზამს, მაგრამ რა გაინტერესებს-მეთქი? რაღაც ძვირფასს ჰგავს და დამაინტერესაო. კი არ ჰგავს, ძვირფასია, მაგრამ ყოფილი ხალიჩაა-მეთქი. აიჩემა, მაჩვენეო. ავაბრძანე „როკი“ და გავშალე ხალიჩა. ქალი აკივლდა, შენ მაინც არ აფასებ ამ ჯადოსნურ ხალიჩას და მე მომეციო. მეთქი, რა მოგცე, ძაღლისაა, ზედ ტკბილად სძინავს. ას დოლარს გადაგიხდი, რა მოგივიდა, მომეციო. მეწყინა ფულის შემოთავაზება და უფრო სასტიკ უარზე დავდექი. არც 250 დოლარად მომცემო? – უცბად ასწია ფასი. გაბუტვა ინტერესში გადამეზარდა. რად გინდა-მეთქი. კლიენტი მყავს, ასეთებს აგროვებსო. ჩემი ძაღლის ტკბილად ყოფნა მირჩევნია-მეთქი.

ჩემთვის ვიფიქრე, ამან რაღაც შარს არ გადამყაროს, ვის რად უნდა ამოჭმული ხალიჩა, რომ ასეთ ფასს იხდიდეს, ეს თავისთავად გულისხმობს, რომ ვისაც უნდა, მეტს იხდის-მეთქი. ბოლო ფასს გეუბნები, 500 დოლარს ახლავე მოგიტან და მომეციო. გავიცინე, კარგი-მეთქი. გაიქცა. მართლა რომ მოიტანა, ენა ჩამივარდა და უხერხულად ამოვილუღლუღე, გავრეცხავ, „როკის“ ნაწოლია, ზედ რწყილები იქნება-მეთქი. არ მინდა, შენი ჭირიმე, მე გავრეცხავ, შენ რომ არ გადაიფიქროო. – დასტაცა ხალიჩის ნაკუწს ხელი და გავარდა. ისე მაინტერესებს, ვის აქვს ის ნაკუწი და რანაირად აქცია რამედ, ვერ გადმოვცემ.

რამდენი ვილაყბე, არადა, იმის თქმა მინდოდა, რომ ხალიჩის ჯადოსნურობისა არ ვიცი, მაგრამ ტახტი და მუთაქები კი მაქვს ჯადოსნური. წამოვწვები ნამზითვ ტახტზე, ამოვიდებ თავქვეშ ნამზითვ მუთაქას და, ან უგონოდ ვიძინებ, ან ისეთი აზრები მომდის, საგონებელში მაგდებს, ამეებზე რატომ ვფიქრობ, ტვინში ხომ არ დამიცურდა-მეთქი?

აბა, თუ არ დამიცურდა, რატომ მეჩვენება, რომ ევრონაცბოზბანდა რუსეთის აგენტია, ხოლო ქართული ნაცბოზბანდა ორმაგი აგენტები არიან?

ქართველი „შიგევროპელები“ ვართო, მაგრამ გააფუჭეს საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა!

ეს „შიგევროპელები“ დადიან და სრულიად დასავლეთს აქეზებენ საქართველოს წინააღმდეგ;

კგბ-ს წესებით მოქმედებენ დღესაც – ჩაშვება-ჩაბოზება გრძელდება!!!!

არ უტოვებენ საქართველოს სხვა გზას, გარდა რუსეთისა!

ქართული ე. წ. გამოტვინებული ოპოზიცია და ვითომ სამოქალაქო აქტივისტები კი ამას შესანიშნავად უსრულებენ „გლავნი პროვოდებს“, რადგან გაგებაში არ არიან, რომ მხოლოდ „შურუპ-ვინტ-ბოლტები“ არიან ბრტყელტუჩა-ჩაქუჩ-ქანჩისთვის;

გეოგრაფიულად ევროპელები არიან და, ისეთი გამალებით ცდილობენ თავიანთივე ევროკავშირის დაშლას და ბარემ ნატრობენ ორსამ „აზრიან ორეშნიკს“, რომ ლამის ხუტა უფროსივით შეევედრონ პუტინს, გვერეკე რა, თავში, ქალბატონო მარგალიტაო.

ჩემს სიყრმეში ასეთი გამოთქმა იყო, რასაც მე „მდაბიურს“ ვუწოდებდი: შახ – დევიტ, ქაბაბ – ჩეტირე. ახლა ვხვდები, რომ მდაბიური კი იყო, მაგრამ ზუსტად ასახავდა საქმის ვითარებას, როცა საზოგდოების ორი სხვადასხვა ფენა ერთ თამაშს თამაშობს, მაგრამ მიზანი სხვადასხვა აქვთ.

აბა, შახი რომ გაქვს, რაღა ქაბაბ ჩეტირეს გაიძახი?

ვაჰ, კაცო, რანაირადღა ვთქვა?

ერთ კაცს დაბურულ ტყეში გზა აებნა და სასოწარქვეთილი ხესთან ჩამოჯდა. საიდანღაც მახინჯი კუდიანი გამოძვრა – თუ ისე მასიამოვნებ, რომ მომეწონოს, ტყიდან გაგიყვანო. არ დაზოგა კაცმა თავი, ანეტარა კუდიანი. ჰა, ახლა, გამიყვანე ტყიდანო, – მოითხოვა დაწრეტილმა კაცმა. რამდენი წლის ხარო? – დაინტერესდა კუდიანი. ოცდარვის, – მიუგო კაცმა. მერე, კიდევ გჯერა ზღაპრებისო? – გადმოყარა ქინდრები ავსულმა და გაქრა.

მე და ჩვენ თუ ვიცოდით, რომ ის ნატო და ის ევროკავშირი, რომელსაც ვხედავდით, არასდროს მიგვიღებდნენ აღნიშნულ კავშირალიანსებში, რანაირად არ იცოდა საქართველოს არცერთმა ხელისუფლებამ, რამდენი წლისაა თითოეული ხელისუფალი?

აპატურაიზე ლოცვა შევწყვიტეთ და ახლა ურსულა ფონ დერ ლაიენებზე უნდა ვილოცოთ გაბმით? – რაგინდ შეიცვალოს ევროკავშირ-ევროპარლამენტის ვერტიკალი, მუქთახორა ორგანიზაციის არსებობის არსი არ შეიცვლება და ჩვენ, რადგან შესაძრომ ადგილს ვხედავთ, ამიტომ ვეკვეხებით მანდარინში ნივრის კბილივით? – რადგან ვეტევით, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ადგილი იქ არის!

მანდარინმა იცის, რომ ნივრის ადგილი მასში არ არის და შენ, ნივრის კბილი რომ ხარ, რა გინდა მანდარინში, არ უნდა იცოდე, რომ ნიორი ხილს არ გაგითავისებს...

ე. წ. დასავლეთი რომ არასდროს მიგვიღებს, პირადად მე, ეს ამბავი მხიბლავს კიდეც, რადგან ჩემს შემეცნებაში ქართველობა და კავკასიელობა უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე გეოგრაფიული მდებარეობიდან მომდინარე ევროპელობა!

იმ ანეკდოტის კუდიანივით, მხოლოდ დაპირება და დავალებები იციან – გვასიამოვნეთ და მიგიღებთო. ერთი ვასიამოვნეთ, მეორე, მესამე, მეათე და კიდევ, კიდევო – ანუ, გვაგლახავეს და სადამდეც გაუვათ, უნდა გვაგლახავონ?

იმათ ვერ ვამტყუნებ, ყველა საათავისოდ ცდილობს, მაგრამ შენ ხომ უნდა გაიზარდო და გამოხვიდე ზღაპრებიდან, მით უმეტეს, როცა ის ზღაპრები იმთავითვე „კაბალური ქცევის კოდექსია“ იმავე კავშირის წევრებისთვისვე, ორი-სამი წევრი ქვეყნის სასარგებლოდ...

სამ ათეულ წელზე მეტი ხანი ვიხადეთ საკუთარი სურვილით აკიდებული ვალი, მათ შორის, ცოცხალი ძალითაც – მათ ომებში ვაგზავნეთ ჩვენი ჯარისკაცები და ზიანი მივაყენეთ ისედაც მწირ ჩვენს გენოფონდს.

ახლა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის თავსმოხვეული ეკონომიკური რეფორმების შესრულების გამო აკიდებული ვალები გვაქვს, რომელიც კატასტროფულად და არაადეკვატურად გაიზარდა დასავლური დემოკრატიისკენ დაუღალავი ლტოლვის პარალელურად. საქართველოში ბავშვი რომ იბადება, უკვე ვალი აქვს და სანამ გაიზრდება, კიდევ და კიდევ დაემატება...

ეტყობა, ბოლო ოთხი წელია, რაც ხელისუფლებიდან ჩუმად მოდიან ჩემს ტახტზე დასაწოლად და რეაქციამაც არ დააყოვნა, გარე და შიდა მტრებს, გაბრაზებული აქლემივით ერთნაერად დაედინათ დორბლი, რასაც გედის სიმღერასავით დაედევნა შანტაჟი საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების შესაძლებლობის წაკვნესებით.

ნეტავ, რა გათვალეს, რაო, ქართულ საზოგადოებაზე ზეწოლას მოვახდენთ, ე. წ. ოპოზიციის პოზიციებს გავაძლიერებთ და ატყდება ბუნტი, სრულიად საქართველო შაყსა ჰკრავს თავის ხელისუფლებასო? – რა მძიმე მდგომარეობაში ყოფილან ჩავარდნილები, დედა აღარ ჰყავთ და თავიც დალპობიათ...

საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეჩერება პირდაპირ რომ ეწინააღმდეგება თავად ევროკავშირის ინტერესებს და მათთვისვე კონტრპროდუქტიული იქნება, ამის გააზრების ტვინი არავის აქვს თუ თქმის მსურველი არავინ ჰყავთ, ნეტავ?

მე და ჩემნაირები ამგვარ მუქარებს ვეღარ აღიქვამთ, რადგან სრულიად სადემოკრატეთის მიმართ ნდობის ინდექსით ნულზე ვდგავართ.

ევროკომისიის წარმომადგენელთა შეფასებით, საქართველოს ხელისუფლების ქმედებები ძირს უთხრის იმ ძირითად პრინციპებს, რომლებსაც უვიზო რეჟიმი ეფუძნება, რაც ოფიციალური პირებისთვის უკვე გახდა გარკვეული შეზღუდვების საფუძველი, მაგრამ ჩვენ ეს მათი ყიყინი ოფლიან ბაყაყად გვახატია.

ისიც გვახატია, მეორეხარისხოვან წევრადაც რომ არ მიგვიღებენ და რასა იუკნევიჩიანეს გული არ ეტკინება...

მოკლედ, სანამ ტახტიდან ავმდგარვარ, ანდერძად გამოვტყორცნი:

გაცვეთილი დასავლური „რეზინა“ რას იტყვის, რაში გვაინტერესებს, ის ყოველთვის იმას იტყვის, რაც სათავისო იქნება, ამიტომ, ვიმოქმედოთ მხოლოდ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე:

მშვიდობისმოყვარე საქართველო ყველას მეგობარი უნდა იყოს – არავის გამოკლებით!

გავაცნობიეროთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ღირსებები!

განგებით ნაბოძები ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა სრულად ავამოქმედოთ!

ვიდრე ეს მოწოდებები არ ა(შე)სრულდება, წამოვგორდები მხართეძოზე ჩემს საუკუნოვან ტახტზე და წაღმა-უკუღმა ვიქადაგებ!

ზურა ოშხერელი

„მამაცი ტახი“

ჰა, რა ქნეს, 16-26 ივნისს, ლიეტუვამ, პოლონეთმა და საფრანგეთმა ჩაატარეს ერთობლივი სწავლება სუვალკის კორიდორში, სახელწოდებით „მამაცი ტახი-2026“, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო 10 000 სამხედრო მოსამსახურეს?

სუვალკის კორიდორი დაახლოებით 100 კილომეტრის სიგრძის სტრატეგიული ტერიტორიაა პოლონეთსა და ლიეტუვას შორის. პირდაპირი გაჭრით 65 კმ-ია, ხოლო პოლონეთი-ლიეტუვას საზღვრის გასწვრივ 104 კმ. ის აკავშირებს ტერიტორიას ბელორუსიით რუსეთს კალინინგრადის ოლქთან.

ამ რეგიონის უსაფრთხოებას ნატო და პოლონეთ-ლიეტუვა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე. საქმე ის არის, რომ თუ რუსეთმა და ბელარუსმა ამ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება შეძლეს, ისინი ფიზიკურად გადაკვეთენ სახმელეთო გზას, რითაც ბალტიის ქვეყნებს (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) დანარჩენი ევროპიდან მოწყვეტენ. ამ გეოგრაფიული თავისებურების გამო, მას ხშირად ნატო-ს „აქილევსის ქუსლადაც“ მოიხსენიებენ.

ბოლო დროს რამსებარეული ევროპა რას აკეთებს, თვითონაც ველარ იგნებს გზას მის მიერვე შექმნილ ლაბირინთში. ამდენად, რაღა ახლა დაგეგმა აღნიშნული ერთობლივი წვრთნები, ამას მკითხავი ვარდოც ვერ მიხვდება — რუსეთს ცეცხლზე ნავთს უსხამს, თუ კატასავით ზურგზე არ ეცემა, მე ძლიერი ვარ და ვპატრონობ ამ „პატარებსო“?

ზოგადად კი, როგორც ჩანს, არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ რუსები ხმელეთით დაუკავშირდებიან კალინინგრადს და ბალტიისპირეთს ჩამოაშორებენ დანარჩენ ევროპას — ყოველ შემთხვევაში, ევროპულ სიზმრებში ასეა.

დანიის თავდაცვის მინისტრმა იეპე ბრუსმა განაცხადა, რომ დანია შემოდგომაზე ლატვიაში გააგზავნის 850 ჯარისკაცისგან შემდგარ საბრძოლო ბატალიონს NAთO-ს მისიის ფარგლებში, რომელიც რუსეთის შეკავებას ისახავს მიზნად. დიპლოომენტი განხორციელდება შვედეთთან კოორდინაციით და ორივე ქვეყანა ბალტიის რეგიონში საბრძოლო ძალებს მონაცვლეობით განათავსებს. ეტყობა, შვედებმა სიზმარში ნარვასთან ბრძოლა ნახეს...

სრულებით არ მაინტერესებს, მამაც ტახს მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ძაღლი, უბრალოდ, რუკას დავხედე და შევიცხადე, საფრანგეთს რაღა უნდა-მეთქი და ერთი ძველი, ამ სიტუაციისთვის შესაფერისი ანეკდოტი გამახსენდა.

პატარა მიხო მივიდა სახლში და მამას უთხრა, დირექტორი სკოლაში გიბარებსო. რა დააშავე, შე მამაძაღლოო? ქართულში, მათემატიკაში და ისტორიაში ორიანები მივიღე და დამრიგებელმა სკოლის დირექტორთან შემიყვანა, სამი ორიანი მიიღო მიყოლებით, სულ ასე არცხვენს სკოლას და სკოლიდან გარიცხეთო. ამ დროს ინგლისურის მასწავლებელმა შემოაღო კარი და რომ გაიგო, რაშიც იყო საქმე, იმანაც დაუმატა, ნამდვილად გასარიცხიაო. იმას რაღა ჩემი @@@ უნდოდაო, — აღშფოთდა მამა. მეც ეგ ვიკითხე და მაგიტომაც გიბარებენო.

ჰოდა, პატარა მიხოსა და მამისა არ იყოს, ახლა მე მაქვს შეკითხვა: იმ საფრანგეთს რაღა უნდა იმ ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩამონათვალში?

ამასწინათ სერგეი ლავროვმა თქვა მერცზე, არ ასვენებს ფაშისტური გენეტიკაო და, ერთგვარად გაოცებულმა დაასკვნა, მაკრონმა და მერცმა სრულიად დაკარგეს საღი აზრი და ღიად ცდილობენ იმ დროის დაბრუნებას, როდესაც საფრანგეთსა და გერმანიას მთელი ევროპის, პირველ რიგში, რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის დაპყრობა სურდათო.

ეტყობა, ამ მაკრონს კიდე, უსაქმურობისგან ბოროდინოში ექავება, ხოლო ყველას ერთად კი, არ ასვენებთ კარლ XII-ის, ფრიდრიხ II-ის, ნაპოლეონისა და ჰიტლერის აჩრდილები...

17 ივნისს რომ დავინტერესდი, ნეტავ, დაიწყო თუ არა „მამაცი ტახი“-მეთქი, კომპმა მიპასუხა (უცვლელად): „დიახ, ლიეტუვამ, პოლონეთმა და საფრანგეთმა სტრატეგიულად მნიშვნელოვან სუვალკის დერეფანთან ახლოს საერთაშორისო სამხედრო წვრთნები **Gallant Boar 2026** ნამდვილად ჩაატარეს.

თარიღები: მანევრები 16–26 ივნისს გაიმართა.

მიზანი: წვრთნების მთავარი ამოცანა მოკავშირე ძალებს შორის მოქმედებების კოორდინაცია, ერთობლივი ოპერაციების დახვეწა და ამ გეოგრაფიულად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიის სწრაფი და ეფექტური დაცვის უნარების ამაღლება იყო.“

თვალები თავისით აღმეპყრო ზეციურ უსასრულობაში უმიზნოდ და შეშინებულმა კომპისავე კალენდარს დავხედე, დღეს რა რიცხვია ნეტავ-მეთქი — წესით, სულ ნაკლები, 27 ივნისი მაინც უნდა ყოფილიყო რომ ამგვარი ინფორმაცია მიმეღო. კალენდარზე კი 17 ივნისი იდგა ჯიუტად!

თავი დავიარხეინე, მაინც ცალ ფეხზეც არ მკიდია, „მამაცი ტახი“ ჩატარდა თუ არ ჩატარდა, მერე რა, თუ ათი დღით ადრე ვიცი, რომ უკვე ჩატარდა-მეთქი და თვალი მოვკარი მელნისფერ მითითებას: „ამ სამხედრო მანევრების შესახებ ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მთავარი **Facebook** გვერდი“ ინტერესით ვეკვეთე აღნიშნულ გვერდს და, რა ფოტოც გაახლეთ, ეს დამხვდა.

თვალები ნელ-ნელა დამილაგდა და გავლაღდი — ეს იგივე ვარიანტია, მე რომ მაქვს!

1992 წელს გამზრდელი ბებია მუხათგვერდში დავკრძალე. მას შემდეგ, რაც სასაფლაოს გზები მოაწესრიგეს, ხან ფეხით, ხან მანქანით, ვეძებე და ველარ ვიპოვე საფლავი. ვიღაცამ მასწავლა, სასაფლაოს დირექტორთან დარეკე და დაგაკვალიანებსო — ის კიდე შედევრი აღმოჩნდა!

დავურეკე, ჩემს საფლავს ველარ ვპოულობ და დახმარება თუ შეგიძლიათ-მეთქი? ცოცხალი ხართო? რა ვიცი, ეგრე გამოდის-მეთქი. უკაცრავად, სხვა რაღაც უნდა მეკითხაო, — კი დაამატა უცბადვე, მაგრამ მე ვეღარ ვსულიერდებოდი, რომ რამე მეთქვა.

მოკლედ, მივედი, ნაყლაპში მყოფი მესაფლავე ალბერტა გამაყოლა და დავიწყეთ ბებიაჩემის საფლავის მოკვლევა. ალბერტამ დასაფლავების წელი მკითხა და სქესი. მე „სექსი“ გავიგე და, მეთქი, რა სექსი, ას წელს იყო მიტანებული-მეთქი!

კაცო, ქორწილი არა გქონიაო? როგორც იქ სხედან ნეფე-პატარძალი, ისე წვანან საფლავშიც და შორიდან უცბად რო დავინახოო. აი, ცოდნა სიკვდილამდე რა არის — მე თვითონ ცალ ფეხზე ცხვარი რომ მაბია, ახლა გავიგე, რომელ მხარეს ჩამრგავენ, მაგრამ ის მაინც არ ვიცი, ქორწილში ნეფე-პატარძალი როგორ სხედან. რა ვიცი, სადაც დამსვეს მეც იქ ვიჯექი. სამამდე თვლა კი ვიცი, მაგრამ რატომ უნდა მახსოვდეს, რომელი მხრიდან და როდის ვინ მეჯდა ...

ჰოდა, გამქაფა იმ ალბერტამ. მე კიდე, რომ ვფიქრობდი, რა გულითადი კაცია და, აფსუს, ელამია-მეთქი, თურმე თვალი ჩემი ცელოფნისკენ გაურბოდა, სადაც არყის ბოთლის სილუეტი იკვეთებოდა და რომ მაპოვნინა საფლავი, წყალი მომთხოვა ცელოფანზე მინიშნებით. წყალი არ არის, არაყია-მეთქი. წავაო და პირველივე ყლუპზე გაუსწორდა ელამი თვალი. ალბერტ, ბარემ სურათიც გადამიღე საკუთარ საფლავზე, შიგ რომ ვიწვები, არ გამოვჩნდები-მეთქი და, კი, ჯიგაროჯან, შენ ჰოზები გააკეთეო. გავაკეთე.

ჰოდა, ზემოთხსენებული ინფორმაცია და ჩემი ამბავია ერთნაირია. ჩატარდა თუ არ ჩატარდა ის წვრთნები, მე უკვე 17 ივნისს ვიცი, რომ ჩატარდა და 26 ივნისს დამთავრდა კიდეც, ხოლო ცოცხალი ვარ თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან წინსწრებით მე უკვე ვიცი, რომ ბებიაჩემის გვერდზე ნეტარად განვისვენებ, მტკიცებულებად მეც ფოტო მაქვს — მოსაპირკეთებელია საფლავი, მაშასადამე, ახალი გარდაცვლილი ვარ!

მთლიანობაში — აღარ დავინტერესებულვარ, ჩატარდა თუ არა „მამაცი ტახი“, მაგრამ „მამაცი ტახი“ რა სახელწოდებაა, რა დიადი აზრი დევს მასში, წვრთნებში მონაწილე ქვეყნების რა საერთო დამახასიათებელია ტახში, ნეტავ?

ტახი არა, კვახი!

რას არ მოიგონებემ!

ტახიც (გარეული მამალი ღორი) და ქუბიც (გარეული დედალი ღორი) მხოლოდ ღორია ყველა კონტინენტზე და სხვა არაფერი!

ახლა, ამათ როგორ გამოიყვანეს, იცით? მსუქან მამაკაცთან მერკანტილური მიზნებით ფრიად დაახლოებული ქალისთვის ის რომ „მისი გოჭუნაა“, სხვა შემთხვევაში კი - „ბინძური ღორი“.

რატომ ავიტეხე „მამაცი ტახი“?

რატომ და, რაც მახსოვს, საქართველოში დაგეგმილი, ნატოსა და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი სამხედრო წვრთნების სახელწოდებები, ძირითადად, ინგლისური სახელების თარგმანს ეფუძნება. ჩემთვის ცნობილი და ტრადიციული ნატო-საქართველოს წვრთნები ქართულად შემდეგნაირად ითარგმნება:

- **ღირსეული პარტნიორი**
- **მტკიცე სული**
- **მცველი**

კავკასიის არწივი და, ამ ფონზე ლიეტუვა-პოლონეთი-საფრანგეთის სამხედრო წვრთნების სახელწოდება - „მამაცი გარეული მამალი ღორი“ შეკითხვას რომ არ გაგიჩენს იმ წვრთნებში მონაწილეს, აქ მე ხომ გამიჩნდება შეკითხვა?

ტახის დანიშნულება მაყალზე აშიშხინებაა, ჰოდა, სახორცედ სასწორზე აგდებენ ამ წვრთნებით იმ გარეულ ღორთა გაერთიანებას?

P.S. ბოლო-ბოლო, გარეულ მამაც ღორთა წვრთნები ჩატარდა თუ არა, მაინც ვერ გავიგე, მაგრამ აღარც თავი გამოვიდე ამ ამბის გასაგებად — რა ჩემი საქმეა...

ზურა ოშხერელი

„ელ-მაკა“ და „ლა-მაია“



რამდენიმე ასეული შეთქმულის გადამკიდე, მსოფლიოს ან ისევ ცრუ პანდემია დაგვეცემა, ან ელ-ნინიო, ან ლა-ნინია, ანდა — სამივე ერთად. შესაბამისად, მე ელ-მაკა და ლა-მაია ჩავრთე!

ჯერ ვნახოთ, რითი გვაშინებენ!

როგორც საერთაშორისო პროგნოზირების ცენტრები ვარაუდობენ, კლიმატის ცვლილება მსოფლიოს ისეთ ამბებს დამართებს, რომ უახლოეს თვეებში შესაძლოა, ელ-ნინიოს ფაზა განვითარდესო. ეს მოვლენა კი, რომელსაც ხშირად თან ახლავს გლობალური ტემპერატურის დროებითი მატება, საფრთხეს შეუქმნის მსოფლიო ეკონომიკას, სურსათის მარაგებსა და მილიონობით ადამიანის სიცოცხლესო. ანუ ფორმულა ასეთია: სავარაუდოდ, შესაძლოა, ამოიჟუჟოთო. შეუქმნისო და არა შეგვექმნისო.

მეგონა, ამით მორჩა ჩვენი ამოწყვეტის ამბავი-მეთქი და, შევმცდარვარ — ლა-ნინიაც ყოფილა! ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტი აქვთო. აბა, რა იქნება ელ-ნინია „ბიჭი“ ყოფილა, „ლა-ნინია“ — გოგო.

„ბიჭი“ ყოფილა, როდესაც ეკვატორული წყნარი ოკეანის გახურებული ზედაპირული წყლები აღმოსავლეთისკენ მოძრაობენ. შედეგად, კარგი და თბილი ამინდი ჭარბობს ოკეანის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში.

„გოგო“ ყოფილა, როდესაც აგრილებს ოკეანის ზედაპირს იმავე ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში და გვალვები ამჯერად სამხრეთ ამერიკას ატყდება თავს.

ორი ანტაგონისტი აწონასწორებს ერთმანეთს და ქმნიან ბალანსს კლიმატში. ისინი გავლენას ახდენენ არა მხოლოდ წყნარი ოკეანის რეგიონზე, არამედ მოქმედებენ მთელი პლანეტის კლიმატზე და, სულაც, ელ-ნინიო შესაძლოა, გადაიზარდოს ლა-ნინიაშიო — ამას კიდევ, ინსო ჰქვიაო.

ჰო, ამათ ციკლებიც ჰქონიათ...

იმდენი „ხლამი“ წავიკითხე, რაც ერთი ვრცელი წინადადებით ითქმება — თუ „ბიჭი“ იქნება, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე თავსხმა წვიმები იქნება, ავსტრალია და ცენტრალური აზია დაიხრუკება, ხოლო თუ „გოგო“ იქნება, გაამშრალებს ამერიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილს და ატლანტის ოკეანეში ქარიშხლები ატყდება.

აი, გეკითხებით და მიპასუხეთ: რატომ გვრთავენ სინოპტიკოსობაში მთელ მსოფლიოს, ვინ გვეკითხება სასურველი ამინდის დადგომას, როცა ბუნებაა მბრძანებელი? რაშია საქმე?

ყველგან ხომ ვეჩრებით და ახლა კლიმატშიც ჩაჩრილები ვართ, თან ძალიან გვიხარია, მონაწილეობას ვიღებთ კლიმატთან დაკავშირებულ ფორუმებშიო, — კლიმატის ცვლილების შერბილებაში საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობაო.

ელ-ნინიოც ბუნებრივი მოვლენაა და კლიმატის ცვლილებაც ბუნებიდან მომდინარეობს, რა ბენზინ-დიზელი და რა აირები! გამყინვარება იმიტომ მოხდა, რომ დედამიწაზე მასობრივად დაუსკდათ ფრეონით სავსე კანისტრები? — არ მჯერა და ვერ დავიჯერებ ცრუ მეცნიერებებს!

გლობალისტების მიერ მოსყიდული მედიებმა დიახ, უნდა შეასრულონ შეკვეთა და შეაშინონ ელ-ნინიოთი და ლა-ნინიათი ისინი, ვისაც გაღვიძება არ უნდა. რატომაც არა, ეს არის კარგი მანიპულირება მათთვის, ვისაც გულწრფელად სჯერა ყალბი მეცნიერების.

ისიც გავიგე, ეს, უბრალოდ, ელ-ნინიო კი არ ყოფილა, სუპერ ელ-ნინიოაო, რომელმაც 150 წლის წინ ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირაო.

რაო, რაო?

კი, ნამდვილად, 174-154 წლის წინათ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, მაგრამ გოგობიჭმა ელ-ნინიო-ნინიებმა კი არა, იგივეთა წინაპრებმა, ვისაც დღეს იგივეს გამეორების გეგმა აქვს „ოქროს მილიარდის“ აკვიატებით.

მე ხომ არ ვიგონებ — საიდუმლო მასალების მიხედვით, „შავი მზის“ ლიგის (ვენის არქივი, 1862 წ.) დეპეშაში წერია, რომ მაგალითად, პარიზის კატაკომბები შეივსო არა ერთ ათწლეულში, არამედ რამდენიმე **„განულების ტალღით“**. პირველი ჩატარდა 1852-1855 წლებში; მეორე — 1868-1871 წლებში; მესამე 1871 წლის „კომუნის“ შემდეგ, როდესაც საბოლოოდ განადგურდნენ უკანასკნელი მოწინააღმდეგეები პარიზის უძველესი მოსახლეობიდან.

ეს ბუნებრივი ფენომენი, სავარაუდოდ, იწვევსო წყნარი ოკეანის გაცხელებას და ამინდის გადაკეთებას მთელ პლანეტაზეო.

რა საინტერესოა!

თუ ჩვენ პლანეტაზე კი არ ვართ, არამედ მექანიზმში ვართ პლანეტის სახით, რომელსაც გარედან აკონტროლებენ გარეგნულად ერთგვარად ჩვენი მსგავსი არსებები, მაშინ როგორ ხდება ეს ამბავი? მთავარ როლს ასრულებს ხელოვნური ინტელექტი, რომელიც აკონტროლებს იმ საცდელ ბიოლოგიურ სუბიექტებს, რომლებიც აქ გამოგზავნის მომენტიდან დავბოგინობთ და წვერებიან ბაბუას დავეძებთ ცაში?

როდესაც ვიღებ ინფორმაციებს, რომ „განდობილი“ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები ღრმა მიწისქვეშეთში მრავალსართულიან ახალ მიკროსამყაროებს ქმნიან, რატომ არ ვიფიქრო, რომ დაგეგმილი კატასტროფების ახალი ფაზა უნდა წამოიწყონ, რომელიც პლანეტაზე ბუნებრივ პროცესებადაა შენიღბული?

ციონირებით განაწილებით, ახლა უკვე ციფრული ფორმით.

ეს საათივით მუშაობს. კლიმატკონტროლის სისტემები ირთვება და კონტროლირებადი ქაოსი იწყება. მსოფლიოს ერთ კუთხეში ისინი რთავენ „გაშრობის“ რეჟიმს და ხორბლის კოლოსალურ მინდვრებს წვავენ, მეორეში კი ლოკალიზებულ წყალდიდობას იწვევენ, რის გამოც ყველაფერი, რაც დარჩა, უბრალოდ, ფესვებიდან ლპება.

ოფიციალურად, ამას ბუნების უცნაურობებს და შესაბამისად, ელ-ნინიოს დაარქმევენ, მაგრამ არაოფიციალურად, ეს არის იდეალური გზა ხელოვნური შიმშილისა და ყველაფრის დეფიციტის შესაქმნელად.



და სამოქალაქო სექტორი სულ უფრო მეტად ტერორის ქვეშაა, სიახლეებში ისტერიის ხარისხი ყოველდღიურად იზრდება. თითქოს გვეუბნებიან: შეეგუეთ, კომფორტული ცხოვრება დასრულდა, სამყარო ვერ გაუმკლავდება, ყველასთვის საკმარისი რესურსები არ არის. და სანამ საშუალო ადამიანი პანიკაშია და მაღაზიებში ფასებს აკვირდება, ჭკვიანი ადამიანები აქტიურად ემზადებიან.

შეამჩნიეთ, როგორ ყიდულობს ბილ გეიტსი წლების განმავლობაში მილიონობით ჰექტარ სახნავსათეს მიწებს მკაცრად განსაზღვრულ ადგილებში. ფიქრობთ, რომ მას გარემო აინტერესებს? საერთოდ არა. მიწას ყიდულობენ ზუსტად იქ, სადაც, კლიმატის კონტროლის პანელის მფლობელების გამოთვლებით, ის არ დაიტბორება და არ დაიწვება და სადაც ჯერ კიდევ არის დარჩენილი გარკვეული რესურსები. ეს არის მომავალი დახურული რესურსების ზონები ელიტისთვის.

მაგრამ ამ საბაბით, ჩვეულებრივი შეშინებულ ადამიანებს ეგრეთ წოდებულ „უსაფრთხო ზონებში“ გადაიყვანენ. გეგმა მარტივია: გარეუბანში ცხოვრება შეუძლებელი გახდება - ან გვალვა, წყალდიდობა, ან არაფერი საჭმელი. და ხალხს კეთილგანწყობილად შესთავაზებენ კონტროლირებად მეგაპოლის-ნაკრძალებში გადასვლის შესაძლებლობას, სადაც, სავარაუდოდ, სტაბილური ქსელი, წყალი და რაციონი იქნება.

სწორედ მაშინ დაიხურება გლობალური კავშირის ხაფანგი. ყველაფერი მკაცრად იქნება დაფუძნებული კუპონებსა და კვოტებზე, ისევე, როგორც დეფიციტის ყველაზე უარეს წლებში, მხოლოდ მაქსიმალური სიმძლავრით. შეხედეთ რუსეთს, სადაც ისინი უკვე ცდილობენ ბენზინისა და სუბსიდიების სხვადასხვა მონაცემთა ბაზებსა და საკონტროლო ბარათებთან დაკავშირებას.

მათ სასწრაფოდ სურთ, ეს სისტემა გლობალურად და ცხოვრების ყველა სფეროში აამოქმედონ. თქვენ მოგეცემათ ნახშირბადის კვალის მრიცხველი, იგივე CO_2. თქვენს ტელეფონზე აპლიკაცია აჩვენებს თქვენს პირად ლიმიტს: თქვენ გაქვთ კვირაში მაგ 100 გრამი ხორცის კვოტა, ორი ლიტრი საწვავი და რამდენიმე საათი ელექტროენერგია. ბევრს ეწევით ან სოციალურ მედიაში რაიმე შეუფერებელს წერთ? ბოდიში, თქვენი ციფრული კუპონი გაუქმებულია, იშიმშილეთ.

ამ მანიპულაციის საუკეთესო მხარე ის არის, რომ იდიოტებისთვის ერთი რამ მეორეს ადასტურებს. მათ ეტყვიან: შეხედეთ, ხორცი არ არის, რადგან ძროხები გამოყოფენ გაზებს და კლიმატი იშლება, ბენზინი არ არის, რადგან ატმოსფეროს დაცვა გვჭირდება. ბრბო კი მორჩილად დაუქნევს თავს, ნებაყოფლობით მიიღებს ციფრულ უღელს.

ეს სრული საკონცენტრაციო ბანაკია, სადაც კლიმატური იარაღი უხილავი მცველების როლს ასრულებს.

ამას უსმინეთ (მე ტელეეკრანზე ვნახე), ხელოვნური ინტელექტის სისტემების ინჟინერი მაიკ ადამსი ამბობს (ტექსტთან ახლოს): „მონაცემთა ცენტრები ძირითადად დაცული იქნება ავტომატიზირებული ტერმინატორის სისტემებით და ნებისმიერ ბრბოს, რომელიც ცენტრების წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამს, ტერორისტებად შერაცხავენ და მათ რობოტები გაანადგურებენ...“

აი, ეს კი, როგორ გეგმავდნენ „ისინი“ ჭარბი მოსახლეობის პრობლემის გადაჭრას 1969 წელს.

თავის წიგნში „უფსკრულამდე“, რომის კლუბის დამფუძნებელმა აურელიო პეჩეიმ ჭარბი მოსახლეობის პრობლემის სამი შესაძლო გადაწყვეტა გააჟღერა:

ვირუსი; მასობრივი სტერილიზაცია; დეჰუმანიზაცია (ადამიანური გრძნობების ჩაკვლა).

ასე რომ, გაფილტრეთ მათი წუწუნი ტელევიზიებიდან და მედიებიდან, გაიგეთ თამაშის არსი და ბრმად ნუ დაეთანხმებით ნურაფერს!!!

მაკა ჯაყელი

გური ოტობაიას ტრიადა: „ენგურის ხეობის საგა“

ოთხშაბათს, 8 ივლისს, 16 საათზე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში შედგება ცნობილი ქართველი მწერლის, **გური ოტობაიას** ტრიადის **„ენგურის ხეობის საგა“ („სიცოცხლემისჯილი“, „როკი, ანუ ძელქვა“, „ბებე ანთარხე“)** წარდგინება. გამომცემლობა **„ივერიონი“** (დირექტორი **ზაურ ნაჭყებია**).

ღონისძიება ტარდება საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის (თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი**) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს (მინისტრი **დავით ფაცაცია**) ეგიდით.

ღონისძიებაზე მოწვეული არიან ცნობილი ქართველი მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი.

დასწრება თავისუფალია.

უამრავი ტრილოგია იცის მსოფლიო სიტყვაკაზმულობამ, მაგრამ მწერლურ სინამდვილეში ტრიადა ერთადერთი მეგულება - **გური ოტობაიას „ენგურის ხეობის საგა“**. იგი მისდევს ჰეგელის დოქტრინას პიროვნების, მოვლენის განხილვას სქემით - თეზა, ანტითეზა, სინთეზი: არსებობს რაღაც ცენტრალური თემა, დებულება, რომელიც მის მომდევნო ეტაპზე მოცემულის საპირისპირო მდგომარეობაში გადადის და ბოლოს ამ ორი პოზიციის შეთანაწყობის შედეგად ვღებულობთ სრულიად ახალ რეალობას, ორივეს საუკეთესო ნიშან-თვისების ერთობლიობას, მესამეს. გური ოტობაიას „ენგურის ხეობის საგა“, ამ ფილოსოფიური მიზანდასახულობით მისდევს ქართული ცხოვრების ორსაუკუნოვანი მასალის გადმოცემას და ადამიანის ბედ-იღბალსაც მის კვალობაზე ანიჭებს სამომავლო სარბიელს.

ავტორის ტრიადის მიხედვით, ადამიანი დროსა და სივრცეში განიხილება, როგორც უფლის მიერ თავის ხატად შექმნილი არსების პაექრობა თავის შემოქმედ ძალასთან. ამ შემთხვევაში მისი ცენტრალური ფიგურა ჟინი ანთარი - ჯეგე ანთარია წარმოგვიდგება, როგორც შემოთავაზებული მხატვრული ტილოს განმსაზღვრელი დედაბოძი, რომელიც დანაწევრებულია მის უკანონო შვილებში გიორგი (ჭიჭე კვეკვე) და კემე ანთარიებსა თუ ბონდო ჰალიმონიაში.

ჟინი ანთარის უფროსი ვაჟიშვილი - გიორგი ანთარია ბუნებით ნიჭიერი კაცია, იგი მამასავით ჭარბთმიანია, რომელსაც სექსუალური პოტენციის აღმძვრელ ძალად განიხილავს მეცნიერება. იგი გაჭირვების ტალკვესია ყველგან და ყოველთვის. ასეც არის, სანამ ყიამეთ ზამთარში გაყინულ მდინარეში არ ჩავარდება და პატიმარი ქალების ამალაში მოხვედრილს, ლოგინზე სინთეტიკური წინდებით დაკრულს, ჯგუფურ სექსში არ ჩააგდებენ . აი, აქ, ამ კოლექტიური ძალადობის დროს ერთიანად გასცილდება მას ჭარბი თმის ფენა, ალოპეცია დაემართება და ქალებთან ურთიერთობის ავადმყოფური შიშიც დასჩემდება. გიორგი ანთარია ცხოვრების ბარომეტრია, მესაფლავეა, თლის აკვნებს და კუბოებს, ბოკონებზე შედგმული სკოლის იატაკქვეშეთში ხსნის ურთულეს მათემატიკურ მაგალითებს, რომლის სანაცვლოდ გროშებსაც იღებს გასამრჯელოდ მოსწავლეებისგან. შემდგომ და შემდგომ იგი უფრო სერიოზულ სამსახურებშიც ხვდება, მაღალი ჩინოსნების ხელის ბიჭია, მძღოლი, ნანადირევი ფრინველის ძაღლივით გამომტანი მდინარიდან. დაიარება ნიღბებით, ხან გენერალ ჟუკოვს განასახიერებს, ხან ფერფლისფერ მაკინტოშიან ჯალათს და ხან კიდევ სრულიად უწყინარ დევნილს, რომელსაც ზურგზე ჩანთით კუტი გოგონა მოუგდია და ამნაირად გამოუვლია ადამიანების ზეზეური წამების ბატალიები ენგურს გაღმაგამოღმა, მთელ მსოფლიოში.

ტრიადის პირველ წიგნს, „სიცოცხლემისჯილს“, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვეხმაურე, როგორც ნიჭიერი კაცის დაწერილ ავანგარდისტულ რომანს. ავტორისგან ვიცი, რომ მან ამ ნაწარმოების საბოლოო ჩამოქანდაკებას დიდძალი ენერგია შეალია. არსებობს მისი 42 ვერსია. დღეს „სიცოცხლემისჯილი“ თამამად შეიძლება ითქვას, მხატვრული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშია და ასე ითქმის ტრიადის დანარჩენ წიგნებზეც, რომლებიც, საერთო ჯამში, ქმნიან ვრცელ პანორამულ მხატვრულ ველს.

„ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთები გამოუვა, მაგრამ უკვდავება ფრთების გარეშე არ არსებობსო“, აცხადებს კაცობრიობის უკეთესი მომავლისთვის ახალი ღმერთის შექმნას დადარაჯებული მთავარი გმირი ჟინი ანთარი და ეს პრეტენზია სამყაროსადმი, იყოს კაცობრიული მოვლენების მთავარი შემოქმედი, ძვალ-რბილში გაჯდომია. ადამიანებს იგი განიხილავს, როგორც პრიმიტივებს.

„თაყვენი მეცით ჟინი ანთარსო“, გაიძახის მათ წინაშე, და შემდგომ ქორწილიდან რომ გაექცევა საცოლეს და სატანჯოში, სნეულ-დავრდომილთა კუნძულზე განმარტოვდება, მაშინაც განდიდების მანიითაა შეპყრობილი. ამისთვისაც მოუვლენია ცისქვეშეთისთვის სამი განსხვავებული ბედისწერის ვაჟიშვილი მეცნიერ კაცს (პროფესიით გერმანია-საფრანგეთში განსწავლული ბიოლოგია, სიფრიფანაფრთიანების - ჭიანჭველების მცოდნე, მურმოლოგი), რომლის კვალობაზე ადგენს ადამიანის საზრისს სამყაროში, მწერების, ცხოველების მეშვეობით საზღვრავს საზოგადოების უზოგადეს კანონებს.

გური ოტობაიას რომანებზე „სიცოცხლემისჯილი“, „როკი, ანუ ძელქვა“ თანადროულად გამოქვეყნდა რამდენიმე საყურადღებო რეცენზია (ეკა ცხადაძე: „გური ოტობაიას „სიცოცხლემისჯილი“ - კოლხი ზეკაცის ვნებები“; მარინე ტურავა: „მხატვრულ-დოკუმენტურ ყაიდაზე“; ნანა კუცია: „გური ოტობაიას რომან „სიცოცხლემისჯილის“ ტოპოსის მითო-ეკოლოგიური ასპექტები“). სიტყვის ეს ჩინებული მკვლევარები გური ოტობაიას რომანებს აანალიზებენ, როგორც დამოუკიდებელ ნაწარმოებებს.

არადა, თავდაპირველად მეც ეს წიგნები დამოუკიდებელი თხზულებები მეგონა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი რომანის პერსონაჟები, განსაკუთრებით ჟინი ანთარის უფროსი ვაჟიშვილი - გიორგი ანთარია, ენერგიულად მოქმედებს მეორეში. მაგრამ სამივე წიგნის გამოქვეყნების შემდეგ მივხვდი, რომ საქმე გვქონდა ერთ, გრანდიოზულ თემატიკასთან, რომელსაც ცხოვრება ჰქვია სახელად; მესამე წიგნის „ბებე ანთარხე“ გამოცემამ ერთ არქიტექტურულ ანსამბლად დამანახა სამივე ქმნილება.

მეტად ორიგინალურია ამ უკანასკნელი რომანის ფაბულა - ავტოკატასტროფაში მოყოლილ ფეხმძიმე ცოლს გიორგი ანთარია ამშობიარებს ექსტრემალურ სიტუაციაში. დაიბადება ჩვილი, მაგრამ ცერებრიალური დამბლით ტრავმირებული. მამა-შვილი მთელ მსოფლიოს შემოივლიან განკურნების წამლის ძიების იმედით. ამ მომქანცველ გზაზე მშობელ მამას, თვალთმაქცური ქათინაურებით რომ ეგებება დიდ-პატარა ზურგჩანთაში მოთავსებული გოგონა - ბებე, თვალნათლივ ამჩნევს მათ უკან მოდევნებულ გამთანგავ ირონიებს. პარალელებს თუ გავავლებთ ლიტერატურულ ძეგლებთან „ბებე ანთარხე“ დონ კიხოტი და სანჩა პანსაა ერთ სხეულში მომწყვდეული, რომელსაც შორეულ მესოპოტამიაში ეძებნება მაგალითი - მარუქი, პიროვნება ოთხი თვალ-ყურითა და კიდურებით.

ქართულ თანამედროვე ლიტერატურაში ტრილოგიის ერთ-ერთი მკაფიო და სრულყოფილი ნიმუშია აკა მორჩილაძის „მადათოვის ტრილოგია“, რომელიც აერთიანებს რომანებს: „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, „გაქრები მადათოვზე“ და „ვეშაპი მადათოვზე“.

ტრილოგია - ფორმალური სამნაწილიანი აგებულებაა: სამი ცალკე ნაწარმოები, რომლებიც ქმნიან ერთ მთლიან ციკლს. მაგალითად, ფოლკნერის სნოუპსების ტრილოგიის შემადგენელი ნაწილებია: „სოფელი“, „ქალაქი“ და „სასახლე“. ეს არის სამი დამოუკიდებელი რომანი, ერთი საგვარეულო-სოციალური ხაზით.

ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელი“ სამ ტომად გამოცემული ერთი რომანია, თუმცა პრაქტიკაში ხშირად „ტრილოგიასაც“ უწოდებენ. თვისებრივი სხვაობა ისაა, რომ ტოლკინთან სამი ტომი უფრო საგამომცემლო დაყოფაა და არა სამი დამოუკიდებელი რომანისგან შედგენილი ციკლი.

ტრიადა კი გახლავთ არა უბრალოდ „სამი წიგნი“, არამედ სამი არსებითი საყრდენის, სამი ძალის, სამი მდგომარეობის ან სამი სემანტიკური ღერძის ერთიანობა. ასე რომ, ტრილოგია — რაოდენობრივ-ჟანრული ფორმაა, ტრიადა კი შინაარსობრივ-ფილოსოფიური სტრუქტურა;

გური ოტობაიას შემთხვევაში სურათი უფრო ახლოს დგას ტრიადულ რომანულ სისტემასთან, ვიდრე ჩვეულებრივ „ტრილოგიასთან“. „ენგურის ხეობის საგა“ წარმოჩინდება არა როგორც კლასიკური ტრილოგია, არამედ როგორც ტრიადული რომანული კონსტრუქცია, სადაც ნაწარმოებები ერთიანდებიან არა მხოლოდ სიუჟეტური გაგრძელებით, არამედ საერთო ონტოლოგიური, ეთნოკულტურული და ბედისწერული ღერძით. იგი გამორჩეულია თემატიკითაც: ისტორიული გმირების - ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, ჟიული შარტავას თუ გურამ გამისკირიას პარალელურად შთამბეჭდავად წარმოსდგებიან რიგითი რეალური (ოთარ ფაცაცია, ვახტანგ კვარაცხელია, ნაპო მესხია, ვასილი კადენეცი, იგორ კვესელავა...) თუ გამონაგონი პერსონაჟები.

გური ოტობაიას ტრიადაში სამშობლოს აღორძინების სიმბოლოდ აღიქმება ახალი ზელანდიიდან შეკვეთილის დენდროლოგიური პარკისთვის ჩამოტანილი, ოდესღაც სალოცავი გვიმრის ხეები, რომლებიც დროთა მსვლელობაში გადაშენებულან, ბალახად ქცეულან და იწყება შორეულ წარსულში დიდებით მოსილი საქართველოს მიზანმიმართული რეანიმაცია.

„ენგურის ხეობის საგას“ გამოარჩევს მწერლის მაღალი ოსტატობა, გმირების ღრმა ფსიქოლოგიური შტრიხებით ძერწვის იშვიათი ხელწერა.

გაივლის გარკვეული პერიოდი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამწიგნეული ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საგანძურში.

სოსო სიგუა

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14

მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა

რედაქტორის მოადგილე: გელა ზედელაშვილი 555 48-48-61

შემოქმედებითი ჯგუფი:

თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, მაკა ჯაყელი, ნინო დაუშვილი, თორნიკე ზედელაშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (დიზაინი), ბელა გველესიანი; ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.

http://www.saertogazeti.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983

2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.